# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


ხუთშაბათი-პარასკევი, 29-30 ოქტომბერი. 2020 წ. №145-146 (9071-9072) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 1 ლარი


# ამომრჩეველო, არ შეცდე, საქართველოს მოღალატე ბოროტ ძალებს 31 ოქტომბერს ერთხელ და სამუდამოდ შეაქციე ზურგი!..

## სამშობლოს მიწა-წყლის გამყიდველთ – მტკიცე უარი!..

④

„სამწუხარო ის კი არ არის, რომ ნაციონალებისთვის არ არსებობს ბარიერი, სამწუხარო ისაა, ადამიანების 20 პროცენტი არ იმჩნევს ამას და მხარს უჭერს ამ პარტიას“

## საქვეყნო საქმისთვის შემართულ ამ ახალგაზრდა კაცს ③ სონღულის ფრთები ასხია!



დავით სონღულაშვილი

## გიორგი გახარია: პანდემია გადაივლის, ვირუსს დავამარცხებთ, თუმცა დემოკრატიული არჩევნები ჩვენი ქვეყნის დემოკრატიული განვითარების საფუძველია



**ჩვენს მოქალაქეებს მინდა ვუთხრა, რომ ზოგიერთ სავაჭრო ცენტრში ვიზიტი შეიძლება იყოს ბევრად უფრო მაღალი რისკის შემცველი, ვიდრე საარჩევნო უბანზე ხმის მიცემა,** – ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი გახარიამ განაცხადა. მთავრობის მეთაურმა მოუწოდა მოქალაქეებს, 31 ოქტომბერს გააკეთონ თავიანთი არჩევანი, რადგან, პრემიერის თქმით, ეს არის თითოეული მოქალაქის პასუხისმგებლობა ქვეყნის მომავლის წინაშე.

**„ჩვენს მოქალაქეებს მინდა ვუთხრა, რომ ზოგიერთ სავაჭრო ცენტრში ვიზიტი შეიძლება იყოს ბევრად უფრო მაღალი რისკის შემცველი, ვიდრე საარჩევნო უბანზე ხმის მიცემა. ასე, რომ ჩვენ ყველამ ერთად, 31 ოქტომბერს უნდა გავაკეთოთ ჩვენი არჩევანი. ეს არის ჩვენი, თითოეული მოქალაქის პასუხისმგებლობა ჩვენი ქვეყნის მომავლის წინაშე“,** – განაცხადა გიორგი გახარიამ.



## ოთარ ლორთქიფანიძე – მეცნიერი, მოქალაქე და მამულიშვილი

⑤

## ის მიწისქვეშა წარსულს იკვლევდა...

◉ ლექსი – მიზანში!..

# ვაიმე, რა ცოტანი ვართ შენი შვილობის ღირსი...

**„ნუ დაივიწყებ შენი მტრების ხმას!“** – გვაფრთხილებს ფსალმუნიდან ასაფი.

ნეტამც შემეძლოს დავიწყება...

გენეტიკური მეხსიერება შარვან II იბნ მუჰამადის ხმასაც კი მახსენებს, ქართველმა ერმა, „მადლიერების ნიშნად“ მურვან-ყრუს სახელით რომ უკვდავყო და რომელიც ჩვენი სამშობლოს უმაგალითო სისხლიანი მოთარეშებიდან რამდენიმე წლის შემდეგ ეგვიპტეში შურისმაძიებლებმა დაკლეს!

სისასტიკით დაყრუებული განა იფიქრებდა, რომ თორმეტი საუკუნის შემდეგ ახალი მურვან-ყრუ მოგვევლინებოდა?ჯერ კიდევ რუსის ჩექმის ქვეშ გმინავდა ქართლი – გავიმარჯვეთო! ახალმა მურვანმა რესპუბლიკის მოედანზე სამარცხვინო მასკარადი რომ მოაწყო.

– აგვისტოში გავიმარჯვეთო! – ეს მაშინ, როდესაც სამშობლოს მეხუთედი მტერს იღლიაში ამოუდო, როდესაც სამიოდე ათეულ კილომეტრში ჯერ კიდევ ხრჩოლავდნენ გადამწვარი სახლები და ცოცხლებს გამკითხავი არ ჰყავდა, ყოველ ფეხის ნაბიჯზე ჩახოცილებს კიდევ გამპატიოსნებელ-დამმარხავი, მაშინ, როდესაც უპატრონო მკვდრებს ნადირ-ფრინველი, ძაღლი და ღორი ამახინჯებდა.

ყრუ და უსმენო თუ ხარ, ჯიგარი მაინც არ გეწვის?

ბოლოს ამათაც პატრიარქმა მიხედა!

– გავიმარჯვეთო! – ტვინში სისხლი როგორ არ ჩაგვექცეოდა, ვინც იქ ახლომახლო ვიყავით და თვალწინ გვედო რეალური სურათი.



ეროვნული პრემიის გადაცემის დროს

როდესაც ერთეულები გმირულად ეწირებოდნენ, უკანმოუხედავად გამოქცეული იარაღდაყრილი რეზერვისტები ოჯახებში სამოქალაქო ტანსაცმელს თხოულობდნენ, სამხედრო ფორმაში რომ გვნახონ, რუსები ჩაგვხოცავენო...

აი, რა სულისკვეთების ჯარით აპირებდა რუსეთის რეგულარულ არმიასთან შებმას. ბევრი რამ ჩემს მაშინდელ ნოველებსა და რომანში – „შუშების ომი“, აისახა.

– გავიმარჯვეთო! – თავისი შეძახილებით გადაფარა „მიშა-ყრუმ“ ქართლის გოდება.

გაზეთში წარმოდგენილი ლექსები სწორედ მისი ზეობის დროს არის შექმნილი და გამოქვეყნებული, ასე რომ, ჯერ კიდევ 2012 წლამდე გავიარეთ მე და ჩემმა ოჯახმა არაერთი „ბეწვის ხიდი“.

2011 წელს კულტურის სამინისტროს პრემიების მომნიჭებელმა კომისიამ ეროვნული პრემიის მოსაპოვებლად წარმადგინა. ბედნიერი ვარ, რომ ეს მაღალი ჯილდო „მიშა-ყრუს“ ცოდვიანი ხელიდან არ მივიღე – მოგვიანებით, აღნიშნული პრემია ცხონებულ გივი ბერიკაშვილსა და მე პრემიერმა ირაკლი ღარიბაშვილმა გადმოგვცა.

– გავიმარჯვეთო! – ამ გაუგონარი მკრეხელობით თვითონ უსინდისობაც კი გაწითლდებოდა.

ნუ დაივიწყებ შენი მტრების ხმასო!

რად მინდა ასაფის გაფრთხილება – აბა თუ ბიჭი ხარ, მიდი და დაივიწყე!

**ვანო ჩხიკვაძე.**

26.10.2020

იხ. მე-7 გვ.

№ 145-146. ხუთშაბათი-პარასკევი, 29-30 ოქტომბერი, 2020 წელი.



# ირაკლი ღარიბაშვილი: მასხარა სააკაშვილის მოღალატე ბანდა უნდა გაუქმდეს!

**ქვეყნის მოღალატე, ძირძველი ტერიტორიებისა და წმინდა ადგილების გადამცემი, მკვლელი და ხალხის მძარცველი მასხარა სააკაშვილი და მისი მოღალატე ბანდა არჩევნების შემდეგ ველარ დარჩება პოლიტიკაში, მოღალატე ძალა უნდა გაუქმდეს,** — ამის შესახებ საქართველოს თავდაცვის მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი სოციალურ ქსელში წერს.

**„ეს პოსტი 2018 წელს დავწერე, ახლაც იმავეს გავიმეორებ და დავამატებ: სამი წელი გავიდა, მას შემდეგ, რაც აღარ ვმონაწილეობ ჩვენი ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში, თუმცა ისევე, როგორც თქვენ, მეც მთელი გულით და გონებით ქვეყნის ბედზე და მის მომავალზე ვფიქრობ. ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური პროცესები, ჩვენგან დამოუკიდებლად, იმისდა მიუხედავად, გვინდა თუ არ გვინდა, ჩვენ ყველას გვეხება, აქტიურ პოლიტიკაში ჩართულებს თუ ჩვეულებრივ მოქალაქეებს. გულწრფელად მაღელვებს მიმდინარე პოლიტიკური მოვლენები, ამიტომ, გადავწყვიტე საჯაროდ მოგმართოთ:**

**2012 წელს ბიძინა ივანიშვილის ლიდერობით ქართველმა ხალხმა წერტილი დაუსვა სააკაშვილის მოძალადე, ანტიეროვნულ რეჟიმს. მაშინ მთელი ერი გაერთიანდა სააკაშვილის უსამართლო, მძარცველი და მოძალადე ხელისუფლების შესაცვლელად. მაგრამ, ჩვენდა სამწუხაროდ, საპრეზიდენტო არჩევნების პირველ ტურში მოხდა ის, რასაც ალბათ 2012 წელს ან თუნდაც 2016 წელს ვერავინ ვერ წარმოიდგენდა, თუმცა ამის გამომწვევ მიზეზებზე საუბრის დრო ახლა არ არის. ყველა ის ბინძური რიტორიკა და დეზინფორმაციული პროპაგანდა, რაც მათგან მომდინარეობს, ყველაზე უკეთ სწორედ მათ მიესადაგებათ: დაწყებული სახელმწიფოს ღალატით, დამთავრებული ოკუპანტი ქვეყნისთვის უამრავი სტრატეგიული ობიექტების გადაცემით თუ ტერიტორიების დაკარგვით, ტერორისტებთან თანამშრომლობით თუ კრიმინალებთან გარიგებით, უდანაშაულო ადამიანების წამებით და დახოცვით, ხალხის გაღარიბებითა და მძარცველი საბანკო სისტემის შექმნით, ბიზნესის დატერორებით და ადამიანების ქონებების წართმევით, ასიათასობით მოქალაქეების გასამართლებით და მათი ცხოვრების დანგრევით, ქვეყანაში უსამართლობისა და უთანასწორობის დამკვიდრებით. ჩვენ კარგად გვახსოვს მიწაზე გართხმული მთავარსარდალი და მის მიერ ჩვენი გმირი სამხედროებისა და გმირი პოლიციელების მიტოვება შუა ომში, გვახსოვს ხალხის წინაშე ჩადენილი მისი ყველა დანაშაული. სხვათაშორის, ეს ყველაფერი არცთუ ისე შორეულ წარსულში ხდებოდა ჩვენს ქვეყანაში. ასეთი მძიმე მემკვიდრეობის მქონე პოლიტიკოსებად წოდებულ კრიმინალებს, აღარ უნდა ჰქონდეთ უფლება და ხელისუფლებაში მოსვლის პრეტენზია. ამიტომ, დღეს ჩვენ ყველა ერთად უნდა დავდგეთ, ყველაფერი პირადი გვერდით გადავდოთ და საბოლოოდ უარი ვუთხრათ მოღალატე სააკაშვილს და მის ანტიეროვნულ პოლიტიკურ ძალას“...**

# ირაკლი კობახიძე: ბოლნისში დაპირისპირება გვიწევს კახა ოქრიაშვილის დიდ ფულთან!



**დიახ, ბოლნისი არის ერთ-ერთი ოლქი, სადაც დაპირისპირება გვიწევს ძალიან დიდ ფულთან, რომელსაც არიგებს „ნაცმოძრაობის“ კანდიდატი კახა ოქრიაშვილი. იგივე ხდება მცხეთა-მთიანეთში და კიდევ რამდენიმე სხვა ოლქში. შეგიძლიათ გადაამოწმოთ, რამდენი ხელფასიანი აგიტატორი ჰყავს ოქრიაშვილს და რამდენს უხდის ორი თვის განმავლობაში ამ აგიტატორებს, თუმცა ეს თანხები დეკლარირებული არ არის“,** — განაცხადა ირაკლი კობახიძემ.

მან ასევე უპასუხა ბრალდებებს იმის შესახებ, რომ ბოლნისში, **„ქართული ოცნების“ შტაბში ადგილობრივებს თანხებს უხდიდნენ, და განაცხადა, რომ პარტიის მისამართით მუდმივად ისმის მსგავსი ბრალდებები, თუმცა კონკრეტული ფაქტებით ეს არ დასტურდება. გვითხარით სახელი, გვარი, ვინ რა გააკეთა და გვექნება რეაგირება. მუდმივად გვესმის ასეთი ბრალდებები და არავინ გვეუბნება კონკრეტულ ფაქტებს, ასეთ შემთხვევაში რეაგირება არ გვაქვს“,** — აღნიშნა კობახიძემ.

# „ნაცმოძრაობას“, გარდა ოფიციალური შტაბისა, გახსნილი აქვს ე.წ. რევოლუციური შტაბი კრიმინალ ვანო მერაბიშვილის ხელმძღვანელობით

**„ნაციონალურ მოძრაობას“, გარდა ოფიციალური საარჩევნო შტაბისა, გახსნილი აქვს ე.წ. რევოლუციური შტაბი კრიმინალ ვანო მერაბიშვილის ხელმძღვანელობით, რომლის ამოცანაც არის მოქალაქეების პროვოცირება, ძალადობის წახალისება და პოლიტიკური პროცესების რევოლუციური სცენარით განვითარება,** — ამის შესახებ „ქართული ოცნების“ ცენტრალურ ოფისში გამართულ ბრიფინგზე პარტიის აღმასრულებელმა მდივანმა ირაკლი კობახიძემ განაცხადა.

**ჩვენ ვამხილეთ რადიკალური ოპოზიციის ყალბი ე.წ. სადამკვირვებლო ორგანიზაციები, რომელთა რეალური ამოცანა სწორედ არჩევნების შედეგებისადმი თუნდაც მინიმალური უნდობლობის გაჩენაა. ბუნებრივია, მათი ამგვარი მცდელობა წარუმატებლობისთვისაა განწირული, რასაც გუშინდელი მხილებაც შეუწყობს ხელს. გარდა ამისა, გასული კვირების მანძილზე საზოგადოება გახდა იმის მომსწრე, თუ როგორ აწყობდნენ რადიკალური ოპოზიციის წარმომადგენლები მძიმე პროვოკაციებს სხვადასხვა რეგიონში. თუმცა, ჩვენი და სამართალდამცავი ორგანოების აქტიური ძალისხმევით მშვიდი საარჩევნო გარემოს შენარჩუნება გახდა შესაძლებელი. კიდევ ერთხელ მოვუწოდებთ ჩვენს აქტივისტებსა და მხარდამჭერებს, არ აჰყვნენ რადიკალური ოპოზიციის პროვოკაციებს და ამით ხელი არ შეუწყონ მათი დესტრუქციული მიზნების მიღწევას.**

# თეა წულუკიანი: „ნაციონალური მოძრაობა“ ჭამს მათივე დანაყოფების - აღმაშენებლებისა და სხვა მეფეების რეიტინგს



— ამის შესახებ „ქართული ოცნების“ პარტიული სიის მეოთხე ნომერი და იუსტიციის ყოფილმა მინისტრმა თეა წულუკიანმა განაცხადა.

წულუკიანი დარწმუნებულია, რომ მისი პარტია 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებში დამაჯერებლად გაიმარჯვებს, მთავრობას დამოუკიდებლად ჩამოაყალიბებს და პარლამენტშიც მნიშვნელოვანი უმრავლესობით იქნება წარმოდგენილი.

**„თითქოს „ნაციონალური მოძრაობის“ რეიტინგი მზარდია, მე პროფესიით სოციოლოგი არ ვარ, მაგრამ ამის უფრო სხვანაირი ახსნა მაქვს. ვხედავთ, რომ ბოლო კვლევისგან განსხვავებით „ნაციონალური მოძრაობის“ მხარდაჭერა 2-3%-ით უფრო მეტია, ეს იმას ნიშნავს, რომ რეალურად ისინი, როგორც ეძახიან ხოლმე, ჭამენ მათივე დანაყოფების — აღმაშენებლების და სხვა მეფეების რეიტინგს“...**

თეა წულუკიანმა გუშინწინ ოპოზიციონერი გამყალბებლების სქემა გაშიფრა და სიყალბის გამავრცელებლები საქვეყნოდ გამოამზეურა.

# „მიHას რევოლუცია“

## შენ ჩაეწერე მეამბოხეთა რიგებში?!



**გუშინ** ირაკლი კობახიძემ საკმაოდ მნიშვნელოვანი რამ განაცხადა: — ყოველგვარი ჩარჩოებიდან გასვლად უნდა შეფასდეს რადიკალური ოპოზიციის მიერ მათთან მჭიდროდ დაკავშირებული კომპანიისთვის — „აიპიემისთვის“ დაკვეთილი კვლევა, რომლის ანკეტაშიც ჩაწერეს კითხვა — **პროტესტის რა ფორმა იქნება თქვენთვის მისაღები იმ შემთხვევაში, თუ არჩევნების შედეგებმა არ დაგაკმაყოფილათ.** და ამ კითხვის პასუხებში მოქალაქეებს, სახელმწიფო დაწესებულებების ბლოკირების და შიმშილობის კვალდაკვალ, ასარჩევად შესთავაზეს გამაოგნებული პასუხები **— სახელმწიფო შენობების დაკავება და მოთხოვნის დაკმაყოფილების მიზნით ფიზიკური ან შეიარაღებული ძალის გამოყენება!** ეს ნიშნავს, რომ 2016, 2018 და სხვა წლების მსგავსად, რადიკალური ოპოზიცია შეიარაღებული ამბოხების სცენარს განიხილავს და იკვლევს, რა რეაქცია ექნებათ მოქალაქეებს, თუ რადიკალური ოპოზიცია სახელმწიფოს წინააღმდეგ შეიარაღებული დაპირისპირების ფორმას მიმართავს! ეს არის სრულიად გამაოგნებელი ფაქტი და არანაკლებ გამაოგნებელია მათი პარტნიორი კვლევითი კომპანიის წარმომადგენლების რეაქცია ჟურნალისტის კითხვაზე ამ ფაქტთან დაკავშირებით“, — განაცხადა კობახიძემ.

**რევოლუციაო?**

**ნაცებს და მათ სატელიტებს მინდა ვუთხრა:**

**ჯერ მეგი გოცირიძეს დააწერეთ „ავრორა“, ნიკანორას — მატროსი ჟელეზნიაკი და მერე დაიწყეთ.**

**თქვენ მართლა ტროცკისტები ხომ არ გგონიათ თავი?**

**ერთი ბოკუჩავა მყავს ლარისა რეისნერი და მეორე სანდრა რულოვსი — კრუპსკაია?**

**ინესა არმანდის როლზე ვინ განამწესეთ?**

**რევოლუცია რომ მოახდინო, ჯერ თეორიულად უნდა იცოდე პრინციპები.**

**ვინ იცის ეს? ხაბეიშვილმა, თუ აფერისტმა შკლიაროვმა?**

**ჰო, „პაკრიშკების“ შეგროვება დაიწყეთ და ამსტერდამიდან გამოგზავნილებს დაელოდეთ.**

**ვაი თქვენს პატრონს, თქვე საცოდავებო...**

**ახლა კი მცირე თეორიული კურსი:**

რევოლუცია რომ მოაწყო, ამისთვის ერთი უმარტივესი პირობა უნდა არსებობდეს და რამდენიმე თავად უნდა შექმნა.

1. უნდა იგრძნობოდეს რევოლუციისთვის აუცილებელი საწყისი — ზემოურებს არ უნდა შეეძლოთ და ქვემოურებს არ უნდა სურდეთ.

დღეს საქართველოში არის საკმაოდ საყურადღებო მოცემულობა — ზემოურებს მართვა შეუძლიათ და ქვემოურებს მართვის ეს ფორმა მოსწონთ, მაგრამ ზემოურები თავად ქმნიან იმ სიტუაციას, რომ ქვემოურებს ბოლომდე ამოუვიდეთ ყელში მათი ლოიალური და პოლიტკორექტული დამოკიდებულება აშკარა მტრებთან, რაც თავის თავში რევოლუციის წინაპირობა ნამდვილად არ არის, მაგრამ თუ რამე მოხდა, ამ შემთხვევაში ყველა პოლიტიკური ძალა ხალხისგან განადგურდება.

2. უმთავრესი პირობა რაც რევოლუციონერებმა უნდა შექმნან, არის — მარატი, ლენინი, ტროცკი, რობერსპიერი, ლიბკნეხტი და თუნდაც ემილიან პუგაჩოვი, რომლებიც დღევანდელი საქართველოს ლიბერალურ პოლიტიკურ სპექტრში არ არსებობს.

3. აუცილებელია „ავრორა“ და შეიარაღებული მთვრალი მატროსები, რომელთაც ზურგში ლატვიელ მსროლელთა პოლკის ხიშტები ექნებათ მიბჯენილი.

4. აუცილებელია მატროსი ჟელეზნიაკი, რომელიც პარლამენტში შევარდება და პარლამენტარებს მაუზერის მუქარით სახლებში გაყრის.

ეს არის ის აუცილებელი პირობები, რომელთა არსებობა განაპირობებს რევოლუციას და არა ვიღაც მდაბიო და გონებრივად განუვითარებელი ტიპების იდიოტური ფბ პოსტები.

**წიგნები წაიკითხეთ, თქვე ბოლომდე დაუმზადებელო ბაქიბუქა არსებებო და რევოლუციებზე ან პოლიტიკოსობაზე მერე იფიქრეთ.**

**ბოლო-ბოლო, გურამ რჩეულიშვილის შესანიშნავი ნაწარმოების „შაშას რევოლუცია“ სათაური მაინც წაიკითხეთ.**

**გია გაბრიჭიძე**



# საქვეყნო საქმისთვის შემართულ ამ ახალგაზრდა კაცს სონღულის ფრთები ასხია!..

**დავით სონღულაშვილს, საქართველოს პარლამენტის ევროინტეგრაციის საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარეს, კახეთის მხარეში კარგად იცნობენ. აქაური მკვიდრია. ესეც იყო ამოსავალი (არა ერთადერთი) წერტილი, როცა გურჯაანელებმა ოთხი წლის წინათ მეცხრე მოწვევის პარლამენტში მაჟორიტარ დეპუტატად აირჩიეს: წარმატებული ბიზნესმენი უმაღლესი განათლებით (საქართველოს პოლიტექნიკური უნივერსიტეტის კურსდამთავრებული, უცხოეთში გაღრმავებული ცოდნით), მდიდარი გამოცდილების მქონე და საკუთარი კუთხის პატრიოტი, მშრომელი ხალხისთვის თავგადადებული ახალგაზრდა კაცი.**

და, რა თქმა უნდა, სონღულაანთ გვარის ტრადიციების ღირსეული გამგრძელებელი.

— ცხონებული პაპაჩემი დილის 6 საათიდან დაგვრაზმავდა ბიჭებს და ვენახსა თუ ბოსტანში ყველგან გვამუშავებდა. ვაზის მოვლა გვასწავლა, ღვინის დაყენება, ძირითადად, რქაწითელი ჯიშის ყურძნის. ჩვენი ვენახი ჩემი და ჩემი ძმის — სოსოს ჩაყრილია. შრომის ფასი პაპამ გვასწავლა.

საქართველოს, როგორც ვაზისა და ღვინის სამშობლოს სახელს ასეთი გულმხურვალე ახალგარდები განამტკიცებენ. ისევე (და უმთავრესად), როგორც კაცობრიობის ცივილიზაციის ერთ-ერთი სატიტული ერის დამსახურებას გლობალიზაციის ყოვლის წამლეკავ დღევანდელობაში.

ბევრი სიძნელე ჰქონდა გადასალახავი დავით სონღულაშვილს ამ მიმართულებით ევროპულ სარბიელზე, როგორც ჩვენი ქვეყნის ინტერესების დამცველსა და მოდარაჯეს.

შეძლო, დაძლია, განამტკიცა.

**რადგან ჰქონდა საამისო ინტელექტი, ცოდნა, გამოცდილება და მოწოდებული იყოს საქვეყნო საქმეებისთვის.**

**რადგან მისაბაძად ჰქონდა მამის — ბიძინა სონღულაშვილის მაგალითი, რომელმაც (მაშინ მხარის გუბერნატორმა) ბევრ სხვა სიკეთესთან ერთად მშვიდობა შეუნარჩუნა კახეთს უჟამობის ჟამს.**

ღირსეული მამის ღირსეული შვილიაო.

რადგან იგი „აქტიურად ზრუნავდა, როგორც საკუთარი მხარის მოსახლეობის ინტერესების დაცვაზე, ისე ჩვენი ქვეყნის საგარეო-პოლიტიკური ამოცანების რეალიზაციაზე“, — ასე ახასიათებენ მას პარლამენტში.

ოთხ დღეში დავით სონღულაშვილი კვლავ კენჭს იყრის, როგორც მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი გურჯაანის, საგარეჯოს, დედოფლისწყაროსა და სიღნაღის მუნიციპალიტეტების სამაჟორიტარო ოლქში. უეჭველად აირჩევენ, რადგან საქმემან მისმა მეათე მოწვევის საქართველოს პარლამენტისკენ გაუკვალა გზა.

**შენ ხარ ვენახი — რთველი დაუსრულებელი.**

მაინც რა გაკეთდა გურჯაანის რაიონში ისეთი, რაც მისი სადეპუტატო საქმიანობის სავიზიტო ბარათად არის მიჩნეული?

**ადგილობრივი პრესისთვის მიცემულ ინტერვიუში მან განმარტა:**

— ამ ოთხი წლის განმავლობაში უწყვეტ კონტაქტზე ვარ მოსახლეობასთან. არ ყოფილა დღე, გურჯაანის ცხოვრებით არ მეცხოვრა. სადაც კი ვყოფილვარ — პარლამენტის სესიებზე, საკომიტეტო მოსმენებზე თუ ევროპარლამენტის დარბაზებში, პირველი რიგის ამოცანად ჩემი გურჯაანელების საჭიროების, მათი მოთხოვნებისა და მოსაზრებების, მათი პრობლემებისა და გამოწვევების სწორი გადაწყვეტა მქონდა დასახული. **ჩემი უმთავრესი სურვილი იყო და არის, რომ გურჯაანის მუნიციპალიტეტი ევროპული ტიპის აგროტექნოლოგიურ მუნიციპალიტეტად ჩამოყალიბდეს.** ამ მიმართულებით ეფექტიანი ნაბიჯები გადავდგით. ბევრი რამ გაკეთდა. შეიცვალა ინფრასტრუქტურა და, რაც მთავარია, მიდგომები როგორც ადგილობრივი თვითმმართველობის, ასევე მოსახლეობის მხრიდან. ვერ ვიტყვი, რომ ყველაფერი მოვახერხეთ, მაგრამ გურჯაანელები დამეთანხმებიან, რომ შრომა, გარჯა, მონდომება და ძალისხმევა არ დაგვიკლია ჩანაფიქრის განსახორციელებლად.

მუნიციპალიტეტში ამუშავდა არაერთი საწარმო, ტექნოპარკი, სავაჭრო ობიექტი. გვაქვს ახალი სკვერები, სკოლები, საბავშვო ბაღები... ეს ყველაფერი გურჯაანის გაზრდილი ბიუჯეტისა და რეგიონული თუ მუნიციპალური ფონდების 4-ჯერ გაზრდილი სახსრების, ასევე, კერძო ინვესტიციების არნახული რაოდენობით მოზიდვის შედეგია. მალე გვექნება საშუალება, გავაუმჯობესოთ და საბოლოოდ მოვაწესრიგოთ წყლით უზრუნველყოფის საკითხი, დავასრულოთ საგზაო და ინფრასტრუქტურული პროექტები და მივუახლოვდეთ ევროპულ სტანდარტებს.

**გურჯაანელები მშრომელი ხალხია. მათ ბუნებრივ ნიჭსა და უნარს უწინ უიმედობა და უპერსპექტივობა აბრკოლებდა. ერთობლივად მოვახერხეთ და დავძლიეთ. ბევრი ადგილობრივი მკვიდრი დაბრუნდა და ბევრიც დაბრუნდება საქმიანობის აქ გასაგრძელებლად. პროფესიული განათლების გაძლიერებით, ღვინისა და კულინარიის კოლეჯების გახსნით შევძლებთ მათ მხარეში ამოდგომას.**

გურჯაანელები ამაყობენ, რომ უკვე საუკეთესო ღვინისა და კულინარიის საერთაშორისო ფესტივალებს მასპინძლობენ.

რთველი გურჯაანში აღარ არის მარტო ყურძნის მოსავლის მოწევა მხოლოდ სექტემბერ-ოქტომბერში. **ნაყოფიერების დიდი დღესასწაულია,** რომელიც იწყება მარწყვისა და კიტრი-პომიდვრის „რთველით“ მაისში, გრძელდება ზაფხულში ატმისა და ვაშლატამას მოსავლით, კენკროვნებისა და ბალჩეულის მოყვანით, ადრე შემოდგომაზე ესტაფეტას გადასცემს ყურძენს და გვიან შემოდგომაზე სრულდება ხურმისა და კარალიოკის მოსავლის აღებით.

მევენახეობა და მეღვინეობა კახეთის ეკონომიკის ერთ-ერთი წამყვანი დარგი რომ არის, ცნობილია. დამატებით იმას გეტყვით, რომ, **თუ 2012 წელს კახეთში 52 ათასი ტონა ყურძენი ჩაიბარეს, 2019 წელს — 278 ათასი ტონა, წლეულს ეს ნიშნული 300 ათას ტონას გადასცდა. ექვსჯერადი ზრდა, ალბათ, არც ერთ სფეროსა თუ დარგში არ ყოფილა.**

ხშირად მეკითხებიან: რამდენად კარგი ფასია რქაწითელზე დაწესებული? ჩემი პასუხი ერთმნიშვნელოვანია — ფასი მცირეა, მაგრამ სახელმწიფოს შესაძლებლობების ადეკვატურია. ტრადიციული დარგები უფრო უნდა განვითარდეს. სახელმწიფო ხელს შეუწყობს ფერმერებსა და კოოპერატივებს, კომპანიებსა თუ ცალკეულ მეურნეებს, მაგრამ ბიზნესმაც უნდა გამოიღოს ხელი და მოიძიოს ის ცენტრები, რომლებთანაც შეძლებს ორმხრივი სასარგებლო პარტნიორობის დამყარებას.

**ოთხ მუნიციპალიტეტში კანდიდატად დასახელება ჩემ მიმართ გამოხატული ნდობაა, რომელსაც უდიდესი პასუხისმგებლობა ახლავს. გურჯაანის მოდელი ახლა მთელ რეგიონზე უნდა გავავრცელოთ.**

**ვიყავი და ვარ ქვეყნის ერთი რიგითი ჯარისკაცი, რომლის სურვილიც საქართველოს წარმატება და წინსვლაა. ნდობის გამოცხადება კი, ჩემი თვალსაზრისით, სამმა ფაქტორმა უნდა განაპირობოს: ჩემმა, როგორც დეპუტატის განვლილმა საქმიანობამ; გამოცდილებამ ევროინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარის პოსტზე და ოთხივე მუნიციპალიტეტში მოსახლეობის მხარდაჭერამ.**

**მაგარი ბიჭია ჩვენი დავითი**

**მაშ, მოვუსმინოთ რიგით ამომრჩეველს,**

## დავით სონღულაშვილი:

## ვიყავი და ვარ ქვეყნის ერთი რიგითი ჯარისკაცი, რომლის სურვილიც საქართველოს წარმატება და წინსვლაა

**65 წლის გურჯაანელ ქალბატონს ნაზი ნინიძეს:**

— მაგარი ბიჭია ჩვენი დეპუტატი. გურჯაანს შეხედეთ, რა იყო 4 წლის წინათ და ახლა როგორი ფუსფუსი და მოძრაობაა ყველა მიმართულებით. ყველაზე ძალიან ის მახარებს, რომ ზრუნავს გურჯაანელ ახალგაზრდებზე. თავადაც ახალგაზრდა კაცია და მაგიტომაც უფრო კარგად ესმის მათი მოთხოვნებიც და გასაჭირიც.

სოფლის ერთ-ერთ შეხვედრაზე ჩვენმა გოგო-ბიჭებმა შესჩივლეს: ვერსად ვიკრიბებით, რომ იდეები გავცვალოთო, პროექტებზე ვიმუშაოთო. მაშინ 1 წლის არჩეული გვყავდა დეპუტატად და ახლა, 25 ოქტომბერს უკვე გაიხსნა ტექნოპარკი. მე დიდად ვერ ვერკვევი მაგათ ინოვაციებში, მაგრამ ახალგაზრდები რომ გახარებული არიან, ეგ კი ნამდვილად ვიცი და დიდი იმედიც მაქვს, რომ ბევრ ახალგაზრდას ეს ცენტრი განვითარებაში ნამდვილად დაეხმარება. ბატონი დავითის დამსახურებაა, რომ გურჯაანი მეღვინეობის მუნიციპალიტეტად გადაიქცა და ტურისტებისთვის მიზიდულობის ცენტრი გახდა, და კიდევ რამდენი გეგმა აქვს წინ. დარწმუნებული ვარ, მომავალი 4 წელი უფრო მეტი წინსვლისა და წარმატების იქნება ჩვენი მუნიციპალიტეტისთვის, ბატონი დავითის თაოსნობით, რა თქმა უნდა.

დავით სონღულაშვილს პირადად ვუთხარი და თქვენც გეტყვით: ხომ შეეძლო, რომ, მაგალითად, ფასადების გალამაზებით დაეწყო და ისეთი რაღაცები გაეკეთებინა, რაც უეჭველად მოგხვდებოდა თვალში, ასე — ერთჯერადად, მაგრამ ძირიდან დაიწყო, სახლს რომ აშენებ, ისე. თუ კარგი და მყარი საძირკველი არ ჩაუყარე, მალევე ჩამოგენგრევა. ახალგაზრდა კაცმა ჯერ საფუძველი მოუმზადა და შემდეგ დაიწყო ნელნელა კედლების ამოყვანა. **ამის მაგალითია თუნდაც თბილისი-ბაკურციხე-თელავის ახალი შემოვლითი გზის მშენებლობა, რომელიც მნიშვნელოვნად შეამცირებს მგზავრობის დროს და იქნება უფრო უსაფრთხო. ველისციხის რეაბილიტაციის პროექტია კიდე ძაან მნიშვნელოვანი თავისი თბილისი-კაკაბეთი-ჭერემი-ველისციხის დამაკავშირებელი და ზიარი-გურჯაანის გზების რეკონსტრუქციით, თავისი 50-ზე მეტი კულტურული მემკვიდრეობის სახლის რეაბილიტაციით, მარნებისა და თეატრის განახლებით, სკვერებისა და გზების მშენებლობით, გამწვანებითა და საკვირაო ბაზრობების კეთილმოწყობით.** ყველაზე მეტად მახარებს და მჯერა, რომ დავით სონღულაშვილი მომავალი 4 წლის განმავლობაში კიდევ უფრო მეტის გაკეთებას შეძლებს ჩვენი მუნიციპალიტეტისთვის.

* * *

თითქოს გუშინ იყო: კახეთში სადმე ერთი პატარა საწარმოც რომ ამუშავებულიყო, მხედრიონელები თავზე დაადგებოდნენ და იმხელა ღალას დაუწესებდნენ, რომ მეურნე წამოწყებულ საქმეზე ხელს ჩაიქნევდა — არ ღირდა მათ მიერ დადებული უღლის ნიშა ხარის ერთგულებით თრევა — „შემწერლების“ საკეთილდღეოდ დღე და ღამის გასწორება და წელში გაწყვეტა.

**დღეს სხვა დრო მეფობს, „სხვა ხალხის ისმის აქ ჟრიამული“. სიახლეთა დამკვიდრებისთვის მოღვაწე ახალ თაობას, რომლის ერთ-ერთ გამორჩეულ წარმომადგენელს — დავით სონღულაშვილს, მოდით, ვუსურვოთ გამარჯვება!**

**არმაზ სანებლიძე,**
თბილისი-გურჯაანი-თბილისი



# სამშობლოს მიწა-წყლის გამყიდველთ – მტკიცე უარი!..

„სამწუხარო ის კი არ არის, რომ ნაციონალებისთვის არ არსებობს ბარიერი, სამწუხარო ისაა, ადამიანების 20 პროცენტი არ იმჩნევს ამას და მხარს უჭერს ამ პარტიას“

**პოლიტოლოგ რამაზ საყვარელიძის განცხადებით, სოციოლოგია გვეუბნება, რომ „ქართული ოცნების“ გამარჯვება უალტერნატივოა. მაგრამ იგივე სოციოლოგია იმასაც გვეუბნება, რომ 20%-იანი მხარდაჭერა ექნებათ ნაციონალებსაც. ამასთან, „ნაციონალური მოძრაობისთვის“ რთული ფიგურაა ღარიბაშვილი, მით უმეტეს თავდაცვის მინისტრად მყოფმა ღარიბაშვილმა ისეთ თემაში დასდო ბრალი „ნაციონალურ მოძრაობას“, როგორიც არის მიწების გასხვისების საქმე...**

**– ბატონო რამაზ, ზუგდიდში „საქართველოს ბანკზე“ თავდასხმა; წალკაში ახალი ზელანდიელების დაყაჩაღება, ეს ოჯახი იქ წლებია ცხოვრობს, მაგრამ აქამდე მათთვის არავის არაფერი დაუშვებია. თუ გავითვალისწინებთ სააკაშვილის და ოპოზიციის განცხადებებს, როგორ ფიქრობთ, ყაჩაღობის ფაქტები პირდაპირ კავშირშია პოლიტიკასთან?**

– სანამ კონკრეტული გამოძიება არ დაადგენს, რომ დანაშაული პოლიტიკური მიზეზით მოხდა, იქამდე რაიმეს თქმა ძნელია. ის, რომ პოლიტიკოსები მომხდარ დანაშაულს გამოიყენებენ, ეს კიდევ მეორე მხარეა. მომხდარი დანაშაულის გამოყენების თვალსაზრისით, რაოდენობას არ აქვს მნიშვნელობა, ჩვენ სულ გვესმის მთავრობისგან, რომ ეს სტატისტიკა უკეთესობისკენ არის შეცვლილი. მაგრამ ერთეულ ფაქტებზე ფოკუსირება და განსაკუთრებით მედიაში, ქმნის იმ განცდას, რომ აი, ინგრევა ქვეყანა. რა თქმა უნდა, ამას ოპოზიციაც გამოიყენებს თავის სასარგებლოდ.

ჩვენ ვიცით ქვეყნები, სადაც ბანკის დაყაჩაღება შესამჩნევი მოვლენაც აღარ არის, იმდენად ჩვეული რამ არის იგივე ამერიკის სინამდვილეში. იგივე ამერიკაში პრეზიდენტებიც კი მოკლეს, მაგრამ ამით სახელმწიფოს თაობაზე კითხვის ნიშანი არ გაჩენილა. აგრძელებს სახელმწიფო არსებობას და აგერ ტრამპს და ბაიდენს აჩხუბებს ერთმანეთს. შეიძლება, რაღაცა ფაქტი გამოიყოს, ყურადღების ცენტრში მოექცეს, მაგრამ ეს ჯერ კიდევ სახელმწიფოს დაშლაზე და შეცდომებზე არაფერს ამბობს. მით უმეტეს, რომ ამ შემთხვევებში სახელმწიფომ მოახერხა უსისხლოდ გადაეწყვიტა ეს თავდასხმა და რამდენიმე დღეში გაიხსნა საქმე. სახელმწიფომ არ მიუშვა პროცესი. იმ ხელისუფლებიდან, რომელიც თავად ჩადიოდა დანაშაულს, კრიტიკა, რომ კრიმინალი მიუშვესო, ძალიან პოლიტიზირება გამოდის. ამ ჯგუფს რომ დანაშაულზე ლაპარაკის უფლება არ უნდა ჰქონდეს, ამაზე მსჯელობა ზედმეტია.

**– ესებუას იდენტიფიცირებამდე ოპოზიცია და მასთან დაკავშირებული მედია ავრცელებდა ინფორმაციას, რომ ბანკზე თავდასხმა განახორციელა მოქმედმა სამხედრომ, რაც მათი აზრით, ადასტურებს ირაკლი ღარიბაშვილის სისუსტეს. დავუშვათ, მოქმედმა სამხედრომ ჩაიდინა დანაშაული, აქ თავდაცვის მინისტრის პასუხისმგებლობის საკითხი სად იკვეთება? მით უმეტეს ამაზე საუბრობს ის პოლიტიკური ჯგუფი, რომლის ლიდერი ბრალდებულია უმძიმეს დანაშაულებში: შს მინისტრი ღიად ითხოვდა ორ გვამს, თავდაცვის მინისტრი ბრალდებულია, კუდ-ის უფროსმა საკუთარი ხელით დახვრიტა სამგორის მეტროსთან 3 უდანაშაულო ახალგაზრდა და ა.შ. მიზანმიმართული შეტევა მიმდინარეობს თავდაცვის სამინისტროს წინააღმდეგ?**

– რა თქმა უნდა, ისედაც, ღარიბაშვილი რთული ფიგურაა „ნაციონალური მოძრაობისთვის“, მით უმეტეს თავდაცვის მინისტრად მყოფმა ღარიბაშვილმა ისეთი თემა წამოწია და ისეთ თემაში დაედო ბრალი „ნაციონალურ მოძრაობას“, როგორიც არის მიწების გასხვისების საქმე. ბრძოლა არის ორივე მხარის შეტევა. ორივე მხარე ჩვეულ იარაღს ხმარობს, „ნაციონალური მოძრაობის“ ჩვეული იარაღი არის მაგ ტიპის ბრალდებები, რასაც ვისმენთ. სრული ტენდენციურობა, რაც ახასიათებს „ნაციონალურ მოძრაობას“ ამჟამადაც სახეზეა და რისთვის? იმისთვის, რომ დარტყმა განახორციელონ იმ მინისტრზე, რომელიც თვითონ უტევს „ნაციონალურ მოძრაობას“.

ამ შემთხვევაში ბუნებრივია დაპირისპირება. მათი მსჯელობა, რომ რამე არგუმენტაციას ეყრდნობოდეს, მაშინ გასაგებია, მაგრამ არგუმენტების და ლოგიკის გარეშე, მარტო იმიტომ, რომ სამხედრო ფორმაში ჩაცმულმა პირმა ჩაიდინა დანაშაული, მინისტრზე გადასვლა, რბილად რომ ვთქვათ, არაფრის მომტანი არ არის. ამერიკაში ბევრი დანაშაული ხდება სამხედროების მიერ, მაგრამ მინისტრი არ მიდის. ეს სტილი, რომ, თუ ჯარისკაცმა ჩაიდინა დანაშაული, უნდა მოვკითხოთ მინისტრს, ეს საბჭოთა სტილი იყო. საბჭოთა მიდგომის მემკვიდრეები გამოდიან ნაციონალები.

**– ღარიბაშვილმა, როგორც შს მინისტრმა, გამოააშკარავა „კასრების საქმე“, მისი მინისტრობის პერიოდში მოხდა უმძიმესი ბრალის წაყენება საქართველოს პრეზიდენტისთვის, თავდაცვისა და შს მინისტრების, მათ შორის ძალოვანი უწყების წარმომადგენლების წინააღმდეგ, რომლებიც გახმაურებულ საქმეში მონაწილეობდნენ. თუმცა, მაშინ სამიზნე არ იყო ღარიბაშვილი, დღეს ვხედავთ, რომ მთლიანად თავდაცვის სამინისტრო არის სამიზნე, ეს პირდაპირ უკავშირდება დავით გარეჯის საქმეს?**

– თქვენ შესანიშნავად ჩაამწკრივეთ ის მოვლენები, რომელიც ღარიბაშვილს უკავშირდება. ის ნაღმები რომელიც ღარიბაშვილმა აუფეთქა „ნაციონალურ მოძრაობას“, თავისთავად მიუღებელი და სამიზნეში ამოსაღები უნდა იყოს ნაციონალებისთვის. მით უმეტეს ამას დაამატა გარეჯის გასხვისების თემა და დასკვნაც, რომ ეს ორგანიზაცია უნდა აიკრძალოს. ფაქტობრივად, პოლიტიკური დასკვნაც დადო. ასეთი ფიგურა რომ მტრად არის აღქმული, გასაკვირი არ არის. ივანიშვილმა მხოლოდ არჩევნები მოიგო და აქამდე მტრად ჰყავთ გამოცხადებული ნაციონალებს. ღარიბაშვილმა ამდენი ფაქტი ამოატივტივა და, რა თქმა უნდა, მტერია ნაციონალებისთვის და მასზე ეცდებიან ნადირობას, მაგრამ ის, რომ სამხედროფორმიანმა პირმა დააყაჩაღა ბანკი, ნამდვილად ვერ გადაწონის იმ ბრალდებებს, რაც თვითონ ღარიბაშვილს აქვს წამოყენებული „ნაციონალური მოძრაობის“ წინააღმდეგ.

**– ასეთი ოპოზიცია, ერთი მხრივ, კომფორტია, რადგან ახანგრძლივებს „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში ყოფნას. იმის მიუხედავად, რომ ოპოზიციამ კარგად იცის, ესებუა არ არის მოქმედი სამხედრო, ამბობენ, რომ ესებუას თემა არის სერიოზული მანიშნებელი იმისა, როგორი ჩამოქცეულია სახელმწიფო ინსტიტუტი. ასეთი ოპოზიცია არის ალიბი, რომ „ქართული ოცნების“ გამარჯვება არის უალტერნატივო?**

– სოციოლოგიაც გვეუბნება, რომ „ქართული ოცნების“ გამარჯვება უალტერნატივოა, მაგრამ იგივე სოციოლოგია იმასაც გვეუბნება, რომ 20%-იანი მხარდაჭერა ნაციონალებსაც ექნებათ და „ქვეყანა არის ჩამოქცეული“, ეს რიტორიკა იმ 20%-სთვის სჭირდებათ. წინა არჩევნებისგან განსხვავებით, ცოტათი მოიმატა ნაციონალების ამომრჩეველმა, ეს რის ხარჯზე? – უფრო მკაფიო გახადეს თავიანთი რიტორიკა, აგრესიულობა.

**თამთა ქარჩავა**

# ღია წერილი „საქართველოს პატრიოტთა ალიანსს“ – დავით თარხან-მოურავს, ირმა ინაშვილს




**ბატონო დავით! ქალბატონო ირმა!**

აუცილებლად და მიზანშეწონილადაც მიმაჩნია, გამოვეხმაურო თქვენს გადაწყვეტილებას და დაგვიანებული ღია წერილით მოგმართოთ:

ყოველგვარი მიკიბულ-მოკიბული შესავლის გარეშე, ვაცხადებ, გამაკვირვა (რბილად ნათქვამია) თქვენმა გადაწყვეტილებამ ქალბატონ **ადა მარშანიასთან** პოლიტიკურ თანამშრომლობაზე უარის თქმისა და სანაცვლოდ აფხაზეთის ტრაგიკული მოვლენების გაღვივებასთან დაკავშირებული პირის (თუ პირების) მიმართ ნდობის გამოცხადების გამო.

რამ გაიძულათ აფხაზეთისა და აფხაზი ხალხის, მთლიანად აფხაზეთიდან დევნილი მოსახლეობის სიმბოლოსა და ჭირისუფალთან ასეთი ფორმით დისტანცირება?! საპირწონედ, რატომ რაზმავთ ადამიანებს, რომელთა პოლიტიკური პოზიციები, ქმედებები თუ უმოქმედობა კიდევ უფრო აღრმავებენ აფხაზ და ქართველ ხალხებს შორის გაუცხოების პროცესს, ხელს უწყობენ ნდობის აღდგენის ჩაშლას;

თქვენი ასეთი ნაბიჯები მარწმუნებენ, რომ აფხაზეთის პრობლემის გენეზისი თქვენთვის სრულიად უცხოა; თქვენ არც აფხაზეთში აფხაზებთან დაბრუნების პერსპექტივაზე გაქვთ სალი წარმოდგენა!

თქვენ, ფაქტობრივად, უარი თქვით საქართველოს პარლამენტში აფხაზეთის პრობლემისადმი, მაშასადამე, ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის, უგუნურობითა და ტყვიის ენით დაშორიშორებული ერთსისხლხორც მოსახლეთა შორის ნდობის აღდგენის მიმართ მუდმივად აქტიური პოზიციის გამოხატვაზე.

ნაკლებად მნიშვნელოვანია და არც მადარდებს, ვინ ჩაანაცვლა ქალბატონი ადა პარტიულ საარჩევნო სიაში, მე, როგორც თქვენი პოლიტიკური ფილოსოფიის მიმართ აქამდე არაგულგრილს, ის უფრო მაშფოთებს, რომ უარი თქვით აფხაზურ საზოგადოებასთან პირდაპირი დიალოგის გამოყენების შესაძლებლობაზე, საქართველოს პარლამენტში მანდილმოსილ აფხაზეთის წარმომადგენლის ხმაზე.

ადა მარშანია აფხაზეთისა და საქართველოს გულანთებული, სუფთა და მიზანდასახული პატრიოტია. ის იდგა „პატრიოტთა ალიანსის“ ჩამოყალიბების სათავეებთან. ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, ქალბატონი ადა დიდი აფხაზის, აფხაზთა და ქართველთა შეუქცევადი გაერთიანების უდიდესი ქომაგის, სიბრძნის, კაცთმოყვარეობის განსახიერების **ლორიკ მარშანიას** პირმშოა. ამ გვარს, ოჯახს, ბატონი ლორიკის ხსოვნას, აფხაზებთან შეუბღალავი ავტორიტეტი და ჩვენი ქვეყნის გაერთიანების ურთულეს პროცესში მსახურობის პოლიტიკური, სოციალური თუ ზნეობრივი ღირებულების ამოუღლევი რესურსი გააჩნია.

ადრეც ღიად გამოვხატავდი თქვენდამი დამოკიდებულებას და ამჯერზეც, „მოკეთეს პირში უძრახეს“ შეგონებიდან გამომდინარე, საჯაროდ გეტყვით: თქვენ დიდი შეცდომა დაუშვით **ადა მარშანიას** ღვაწლისა და მომავალში მისი პოლიტიკური შესაძლებლობების იგნორირებით. ნებისმიერი პოლიტიკური ძალისთვის არჩევნები და ამომრჩევლები საქმიანობის მნიშვნელოვანი კომპონენტია. თქვენ აფხაზეთიდან



დევნილ ამომრჩეველს, კარსმომდგარი, ერთ-ერთი გადამწყვეტი პოლიტიკური აქტის წინ, სილა გააწანით. გარწმუნებთ – პასუხიც ადეკვატური იქნება.

ვფიქრობ, ამომრჩეველი სწორად დაინახავს თქვენს ნამდვილ სახეს და შეცდომას არ დაუშვებს.

**და მაინც პატივისცემით,**
**ნაპო მესხია.**



# აქა ამბავი ხატიასი, ბატიასი, კვატიასი და კიდევ ზოგი რამ...

**სოკრატესი არ იყოს, ეტყობა, ყველას გვყავს ჩვენ-ჩვენი დემონიონი, რომელიც ძნელბედობის ჟამს ჩვენს მოქმედებას მართავს, მე ამას გულისკვეთებასაც დავარქმევდი სულისკვეთების მსგავსად. ანდა, როგორც რომ მე-16 საუკუნეში, დღესაც არიან დემონიაკები, ანუ ეროტიკოსები, რომლებსაც სჯერათ, რომ ავი სულები ნეტარ სულებად მოაქცევენ...**

დაახლოებით ასეა ბოროტდემონიონჩასახლებული სააკაშვილის ნეზვი აჩრდილისა და თავადაც დემონიაკის ხატუკა, ბატუკა, კვატუკა დეკანოიძის საქმე, რომელიც საქართველოდან გაქცეულმა ბოროტდემონჩასახლებულმა პატრონმა უკრაინაში წაიყვანა და ქვეყნის საპატრულოს უფროსად დაანიშნინა იმჟამინდელ პრეზიდენტ პოროშენკოს, ვინაც მალევე იწვნია, თავად შოკოლადის მგელმა, რა ღვთის პირიდან გადავარდნილ გველთანაც ჰქონდა საქმე, მაგრამ უკვე გვიან იყო თითზე კბენანი...

მკითხველო, გახსოვს, ალბათ, მთავრობის ერთ-ერთ სხდომაზე, რასაკვირველია, უკრაინის, იქაური შინაგან საქმეთა მინისტრი, კავკასიელი ავაქოვი, ამ ჩვენი ღვთისპირისგან გადავარდნილი გველისგან მოშორებით იჯდა, სახეში შეფურთხება არ გამოუვიდოდა და ჩაფურთხებული წყლიანი ჭიქა ესროლა, მაგრამ რა, უთუოდ ისიც გახსოვს, ცხენზე შესკუპებული უნამუსო ფეხებს რომ ატყაპუნებდა და შეფურთხებული სახის მოწმენდისას არხეინად გაიძახოდა, რა კარგი წვიმა მოდისო...

**ეს უნამუსო ნაპრეზიდენტალი ახლა გველის ტყავში ძვრება, რომ მომავალი არჩევნებით როგორმე ისარგებლოს და გაპრემიერმინისტრდეს. თანაც, ვითომ მხოლოდ ორი წლით, რათა ქვეყანა, როგორც თავად ამბობს, ჭაობიდან ამოიყვანოს. თუმცა, თვითონ ჭაობიდან ამოთრევას ხმარობს. მე შენ გეტყვი, სუშის ღმურძვლა არ იცის და კუნთები არა აქვს თუ რა! აკი ლოყებიც მეზურნესავით ასკდება!**

აი, სწორედ ამ მეზურნის ლოყებიანი და მოდაზე ქოჩორშეფერადებული პატრონის გაპრემიერმინისტრობის პროპაგანდა-აგიტაციაზეა გადასული ეს ჩვენი ხატიკუნა, ბატიკუნა, კვატიკუნა და ნაირ-ნაირი კაბებისა და შარვლების ცვლაშია, რა არის მსმენელსა თუ მაყურებელს თავი მოაწონოს და ხმის მოწყალებისთვის კარდაკარ დაიარება თავის საარჩევნო უბანში.

კუჭია, ანუ ღორმუცელა, მიწყივ გაბრინჯულ ბოროტსულჩასახლებულ ნაპრეზიდენტალს კი ჯერ დისტანციურად უწევს პრემიერ-მინისტრობა და 31 ოქტომბრის შემდეგ, იმედია, ამის საშუალებაც აღარ ექნება...

მაგრამ ხატიკუნა, ბატიკუნა, კვატიკუნა, ალბათ, არც მაშინ მოიშლის თავის აგიტატორობას და თავად მოუწევს დისტანციური ურთიერთობა სხვათა ქვეყანაში გადახვეწილ და ავბედითად თავის წამოწყებულ 2008 წლის აგვისტოს ომში ჰალსტუხილოღნია, ნეხვნაჭამ ამირსპასალართან.

მართალია, თავის ქება კიტრადა ღირს (მაზანდას გააჩნია!), თუმცა ჩვენი ხატიკუნა არც ამას ერიდება. აგერ ახლა ვანუას ესტუმრა, ჯავახიშვილს, შოუში, სადაც ბაქიბუქის კორიანტელი დააყენა. სხვათა შორის, ეს ის ვანუაა, სხვათა დაწერილი უბადრუკი ტექსტით ვითომ რომ ოხუნჯობს და რადგან ვერც მსმენელს, ვერც მაყურებელს ვერ აცინებს, თვითონვე ხარხარებს, ხანაც კიდევ თვითონვე ბჟირდება თავისი უფროსის საამებლად აქირქილებული.

ჰოდა, ბევრი რამ მოიგონა ხატიკუნამ უკრაინული საპატრულო ცხოვრებიდან. მოიგონა, როგორ გადმოსცა კანონიერი ქურდი, ვინმე გორაძე, საქართველოს, მაგრამ ქართველმა ივანიშვილის მონა სამართალდამცველებმა ისევ იალაღზე გაუშვეს ის ქურდი გორაძე. ერთი სიტყვით, უკანასკნელი სიტყვებით აგინა და ლანძღა ამჟამინდელი საქართველოს ხელისუფლება, კერძოდ, ბიძინა ივანიშვილი, რომელმაც ვითომ თავის სამსახურში ჩაიყენა პოლიციაც და საერთოდ მართლმსაჯულებაც... ამიტომ ბრძენი ქართველი ხალხი საბოლოო განაჩენს გამოუტანს დამნაშავე „ოცნებას“... ხატიკუნას ავიწყდება, რომ ქართველი ხალხი ბრძენია არა მარტო „ოცნების“ მიმართ, ბრძენია აგრეთვე ნაციონალებისა და, საერთოდ, ქვეყნის აშკარა მტრად ქცეული ოპოზიციის მიმართაც. ასე რომ, რა განაჩენიც დადგება, ხატიკუნა, ბატიკუნა, კვატიკუნა, 31 ოქტომბერს, ძნელი გამოსაცნობი არ უნდა იყვეს...

**ისე, ჩვენში დარჩეს, და მაშინ იქნებოდი კარგი გოგო, თუ ქალი, როცა ვანუას სიცილ-ქირქილის ამარა დატოვებულ მართლაც სასაცილო შოუში იმასაც სინანულით გაიხსენებდი, როგორ დაგაკავეს ავსტრიის მებაჟეებმა...**

**...იმ საღამოს ვანუას შოუს ერთ ჩემს კიეველ ქართველ მეგობართან ერთად ვუცქეროდი, რომელმაც უსმინა, უსმინა და ბოლოს თქვა, უსინდისო ქალი რომ იყო, კარგად ვიცოდი, მაგრამ დღეს კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რა ბოროტი გულისკვეთების ქალიც არისო.**

**ავსტრიაში კიევიდან თურმე მუცელქმნილი, ანუ ორსული, მიდენილა ეს ჩვენი ხატიკუნა, ვითომ მოსალოგინებლად (ვინ იცის, იქნებ მართლაც!) თან ჩანთით ერთი მილიონი ამერიკული დოლარი მიჰქონებია, რაც დეკლარაციაში შეტანილი არა ჰქონია. ავსტრიელ მებაჟეებს დაუკავებიათ ეს ფეხდამძიმებული ხატიკუნა, და შეიქმნა თურმე ერთი აყალმაყალი. საქმეში თვით ავაქოვი ჩარეულა, მინისტრი...**

რასაკვირველია, ყველა სწორად იფიქრებს, რომ იმ ერთი მილიონის გარდა, ხატიკუნას კიევში სხვა მილიონებიც ექნებოდა, ერთ მილიონს ის არაფრად გაიკმარებს და ის ერთი მილიონიც, ჩანს, მარტო მომშობიარობის მიზნით არ მიჰქონდა.

და ჩემდა უნებურად აღმომხდა:

**საიდან, შე არაკარგო, ენაამოსაგლეჯო ქალო, მილიონები?!**

და აი, ამას და ზუსტად ამისნაირებს, ბოროტდემონიონჩასახლებული სააკაშვილის მეთაურობით თუ ამირსპასალარობით, ისევ ხელისუფლებაში უნდათ მოსვლა, რათა, რაც თავის დროზე ვერ იალაფეს და ინადავლეს, ახლა გაიყვანონ ქვეყანა ყუაზე.

მაგრამ არავის არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ხალხი მართლაც ბრძენია, მით უმეტეს, როცა გზაჯვარედინზეა და სამომავლო მიმართულებას ირჩევს.

**გურამ გოგიაშვილი**

## P.S.

**ეს ოხერი, ბოროტ ადამიანებზე წერისას დაუმთავრებლობის რაღაც გრძნობა მიჩნდება. მგონია, დავამთავრე-მეთქი, წერტილი დავსვი, და რაღაც-რაღაც აზრები ისევ ამიფუთფუთდებიან ხოლმე თავში. ამჯერადაც აგრე დამემართა, სიზმრის ამბავი წამომაგონდა... როგორც ამბობენ (გამიშისტებული, გაღიპული გელბახიანისა და ასევე გამიშისტებული, გაღიპული სანიკიძის მეტი ვინ იტყოდა!), ჩვენებურ ცხვირწვინტლიან მაჯლაჯუნა ფიურერს დედის – ალასანია გიულის მიერ კიევის ახლომარედ შვილისთვის საჩუქრად აგებულ სრა-სახლში უცნაური რამ მაჯლაჯუნა სიზმარი უნახავს (ასეთ მაჯლაჯუნა სიზმრებს ნახულობს იგი თურმე ამერიკაში ბიძის – თემურ ალასანიას მიერ დისშვილის საჩუქრად აშენებულ ოკანეს გადამზირალ სასახლეშიც!), ანუ გერმანელი მაჯლაჯუნაჩასახლებული ფიურერი დასიზმრებია.**

**მოგეხსენება, მკითხველო, გული გულს იცნობს და ღონე – ღონეს!.. ჩვენაო, გერმანელ მაჯლაჯუნას უთქვამს ჩვენებური მაჯლაჯუნისთვის, ერთ ხსენში ვართ მოდღებული, ერთ თარგზე ვართ გამოჭრილიო. ჩვენაო, მეტადრე სისხლი და ადამიანთა ხოცვის ჟინი გვაერთიანებსო. მე, ასაკისდა მიუხედავად, ებრაელთ ვხოცავდი, შენ კი ჭაბუკ ქართველთ დაერიეო, ზოგი ქუჩებში დახოცე, ზოგიც აგვისტოს ომში ამოაფარე მიწასო (ბოდიში, დამავიწყდა, დაუმარხავი დატოვე პაპანაქებაშიო!) კიდევ ის გვაერთიანებს, მეც უგუნურად ვიომე და შენც ჩემს გზას დაადექიო. ჩვენ შორის განსხვავება კი ის არის, მე დამარცხებული ომის ზარზეიმით აღნიშვნის საშუალება არ მომეცა, შენ კი ეს მოახერხეო. განსხვავება კიდევ ის არის, მე ბოდიშის მოხდა არ დამაცალეს, ეგრევე ჯერ თავი მომაკვლევინეს, მერე დამაბუგინეს და, ნიურნბერგი გამიმართესო, შენ კი გაქცევა მოასწარი. თავი, მართალია, არ მოგიკლავს, მაგრამ ბევრის თვალში მაინც მკვდრად ითვლებაო.**

**თუმცა, მიდი, მიაწექი, ბოკერია და უგულავა ვითომ გაგინებენ, მაგრამ მაინც შენი ძაღლები არიანო. რა იცი, რა ხდება, ხალხი გულმავიწყია, შენ კი არა, მომხრეები მეც თანდათან მიმრავლდებიანო. თუ გაძვერი პრემიერ-მინისტრად, მეც სადმე პრეზიდენტის სასახლის ახლოისად ძეგლი დამიდგი, ჩვენ ხომ ორივენი ნაცისტები ვართო!.**

**თავგადაკლული ამორძალები არც მე მაკლდნენ და არც შენ გაკლია, ვიცი, ვიცი, ყველას კარგად ვიცნობ, გინდ ხატიკუნა იყვეს დეკანოიძე, გინდა თინიკუნა იყვეს, ბოკუჩავა და გინდა სალომე სამადაშვილი ანდა ელენე ხოშტარია, ირმა ნადირაშვილი, ის კი არა, ვითომ ანალიტიკოსი რომ არის, მგონი, ლაგაზიძე, ისიც შენი თაყვანისმცემელი გახდაო, აქუს ცოლსა და მუხაშავრიას ქალზე აღარაფერს ვამბობ... ამ ამორძალთ „ოცნების“ სალანძღავად ენა პირში არ ეტევათო, ვითომ ახალი სიტყვა ძველი პირიდან ამოსდითო... რაც შეეხება გვარამია-წკვარამია-არამიას საინფორმაციო კანალიზაციას, მიდი, მიუშვი, რაც შეიძლება მეტ სიბინძურეში განგლე „ოცნება“ წინასაარჩევნოდ. თუ გახვედი ბოლოში, ხო კარგი, თუ არადა, დისტანციურ პრემიერ-მინისტრობა თუ პრეზიდენტობა მაინც შენს ხელთ არისო.**

**კიდევ ბევრი რამ უთხრა თურმე გერმანელმა მაჯლაჯუნამ ჩვენებურ მაჯლაჯუნას, კარგა გვარიანად არიგა ჭკუა, თუმცა ბუს რა ჰქონდა, ყვავს გაჰქონდაო, ისეა ამ შემთხვევაში საქმე. რაც მთავარიაო, ბოლოს უთქვამს, შენი მთავარი იარაღი – დემაგოგია, პროვოკაცია, ცილისწამება და ჭორჭური არ დაგავიწყდესო... ნახე, იქნებ არჩევნების მეორე დღეს, ანუ 1 ნოემბერს, ეგრეთ წოდებულმა გაერთიანებულმა ოპოზიციამ, ფუჭად ფაფხურა შალიკო ნათელაშვილის თავკაცობით, „ივანიშვილმა არჩევნები გააყალბა!“-ს ძახილით გააყრუოთ ცა და დედამიწაო... რა იცი, დასავლეთმა იქნებ სულაც არ ცნოს არჩევნების ლეგიტიმურობაო...**

**ეს ქართველი მაჯლაჯუნა ახლა ნანობს, რატომ იმ დილითვე წყალს არ ვუთხარი ეს მჭახე სიზმარიო...**

**გ. გ.**










# ოთარ ლორთქიფანიძე – მეცნიერი, მოქალაქე და მამულიშვილი

# ის მიწისქვეშა წარსულს იკვლევდა...



**გამოჩენილ ქართველ მეცნიერს, არქეოლოგს და ისტორიკოსს, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსს, საქართველოს სახელმწიფო და ჰუმბოლდტის პრემიების ლაურეატს, მეცნიერების დამსახურებულ მოღვაწეს ოთარ ლორთქიფანიძეს დაბადებიდან 90 წელი შეუსრულდა.**

ოთარ ლორთქიფანიძე დაიბადა 1930 წლის 30 ოქტომბერს თბილისში, ცნობილი მკურნალის დავით ლორთქიფანიძისა და ქალბატონი პარასკევა ამაშუკელის ოჯახში. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ, 1948 წელს, მან ჩააბარა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტზე. უნივერსიტეტის წარჩინებით დამთავრების შემდეგ, ასპირანტურაში მეცნიერული მომზადება საქართველოს ძველ ისტორიასა და არქეოლოგიაში მან ცნობილი ბიზანტინისტის, აკადემიკოს სიმონ ყაუხჩიშვილის ხელმძღვანელობით გაიარა. ერთხანს ის ლენინგრადში იყო მივლინებული, სადაც მომზადება გააგრძელა ისეთი თვალსაჩინო სპეციალისტების ხელმძღვანელობით, როგორებიც იყვნენ პროფესორები ქსენია კოლობოვა და ვიქტორ გაიდუკევიჩი.

1957 წელს ოთარ ლორთქიფანიძემ დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე **„ხელოსნური წარმოება და ვაჭრობა მცხეთაში ახ.წ. I–III საუკუნეებში“;** 1960 წელს ის საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის თანამშრომლად ჩაირიცხა; აქვე, 1966 წელს დაიცვა მან სადოქტორო დისერტაცია – **„ანტიკური სამყარო და ძველი საქართველო“,** ხოლო 1972 წელს ინსტიტუტის დირექტორის მოადგილედ დაინიშნა; 1967 წლიდან იგი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორია. მისი სამეცნიერო გზის სრულიად ახალი ეტაპი დაიწყო 1977 წლიდან, როდესაც იგი დაინიშნა არქეოლოგიური კვლევის ცენტრის ხელმძღვანელად და სადაც სიცოცხლის ბოლომდე იმოღვაწა.

უაღრესად ნაყოფიერი და მრავალმხრივი იყო ოთარ ლორთქიფანიძის სამეცნიერო მოღვაწეობა. მას გამოქვეყნებული აქვს 300-მდე სამეცნიერო ნაშრომი, დაბეჭდილი როგორც ჩვენში, ასევე საზღვარგარეთ (აშშ, დიდი ბრიტანეთი, ესპანეთი, საფრანგეთი, გერმანია, იტალია, საბერძნეთი, შვეიცარია, უნგრეთი, ბულგარეთი, რუმინეთი, პოლონეთი, რუსეთი, სირია): 20-ზე მეტი მონოგრაფია, 160-ზე მეტი სტატია, გათხრების ყოველწლიური ანგარიშები, მრავალი თეზისი, საენციკლოპედიო სტატიები, სახელმძღვანელოები, რეცენზიები, წინასიტყვაობები. არ დარჩენილა ძველი საქართველოს და ანტიკური სამყაროს ისტორიისა და არქეოლოგიის არცერთი კარდინალური საკითხი, რომელსაც მისი კალამი არ შეეხო, იქნება ეს ისეთი პრობლემები, როგორიცაა ქართული სახელმწიფოებრიობის და ცივილიზაციის გენეზისი, ძვ.წ. VIII–VII საუკუნეების ბერძნული კოლონიზაცია, კოლხეთისა და იბერიის ურთიერთობა ანტიკურ სამყაროსთან, „ელინიზმისა“ და „ელინისტური კულტურის“ დეფინიციის პრობლემები, „აბრეშუმის გზის“ ისტორიული წანამძღვარი, ძველი კოლხეთის ქრისტიანობამდელი რელიგია თუ მრავალი სხვა.

ყველა ეს პრობლემა, როგორც წესი, ფართო ისტორიულ ფონზეა განხილული და დაფუძნებულია როგორც მრავალფეროვანი არქეოლოგიური მასალის, ისე წერილობითი წყაროების და ეპიგრაფიკული ძეგლების ანალიზზე. უაღრესად დიდი მნიშვნელობისაა აკადემიკოს ოთარ ლორთქიფანიძის ის ნაშრომები, რომლებიც ეძღვნება ნივთიერი კულტურის ცალკეულ ძეგლებს (სოხუმის სტელა, ვანის ბრინჯაოს ტორსი, გონიოსა და ახალგორის განძები, რომაული ტორევტიკის ნიმუშები ნიჩბისიდან, ბიჭვინთის წითელლაკიანი კერამიკა, ვერცხლისა და ბრინჯაოს ჭურჭელი ვანიდან, კოლხური თეთრი, ელინისტური ხანის თავდაცვითი სისტემა, ძვ.წ. VI–IV საუკუნეების კოლხური კერამიკა და ოქრომჭედლობა და მრავალი სხვა). თითოეული მათგანი დახვეწილი შედარებით-ტიპოლოგიური და მხატვრულ-სტილისტური ანალიზის ნიმუშია.

ბატონი ოთარის მეცნიერულ მემკვიდრეობაში რელიეფურად იკვეთება ღრმა განსწავლულობა, უდიდესი ერუდიცია და მაღალი პროფესიონალიზმი, წერილობითი წყაროებისა თუ ნივთიერი ძეგლების სისტემური ანალიზის უზადო ტექნიკა, ფართო ისტორიული განზოგადების იშვიათი უნარი. ფრიად ნაყოფიერი იყო ბატონი ოთარის საგამომცემლო საქმიანობაც. მისი რედაქტორობით გამოვიდა კრებულები – **„ვანი, არქეოლოგიური გათხრები“** (9 ტომი), **„საქართველოს არქეოლოგიის საკითხები“** (**3** კრებული), შავიზღვისპირეთისა და იბერიის ძველი ისტორიისა და არქეოლოგიისადმი მიძღვნილი სიმპოზიუმების მასალები (11 კრებული), საქართველოს არქეოლოგიის მრავალტომეული (2 ტომი), არქეოლოგიური კვლევა-ძიება საქართველოში (17 კრებული), ჟურნალი **„ძიებანი“** (10 ნომერი).

ოთარ ლორთქიფანიძის სამეცნიერო მოღვაწეობაში უმნიშვნელოვანესი ადგილი ეკავა საველე-არქეოლოგიურ კვლევა-ძიებას. არქეოლოგიური ნათლობა მან მცხეთაში მიიღო, შემდეგ კი მონაწილეობდა ხოვლეს, ვანის, ბიჭვინთის, სოხუმის, ფოთის, ბათუმის, ქუთაისის, აგრეთვე მირმეკიონისა და ილურატის (ყირიმი) გათხრებში. 1966 წლიდან კი მისი საველე-არქეოლოგიური საქმიანობა მკვიდრად დაუკავშირდა ვანსა და მის სიძველეებს. აქ მოპოვებულმა არქეოლოგიურმა მასალამ საქვეყნოდ გაუთქვა სახელი ქართულ არქეოლოგიას.

ბატონ ოთარს უტყუარი ალღო ჰქონდა ახალი მეცნიერული ტენდენციების წინასწარ განსაზღვრის, სიახლეზე სწრაფი რეაგირებისა და, რაც მთავარია, მას ჰქონდა მათი დანერგვის და ხორცშესხმის იშვიათი უნარი. იგი იყო ინიციატორი ჩვენს არქეოლოგიაში კვლევის თანამედროვე მეთოდების დამკვიდრებისა (ჰიდრო და აეროარქეოლოგიური, გეომორფოლოგიური, ინტერდისციპლინარული). მანვე შემოიღო არქეოლოგიაში სტრუქტურულ-შედარებითი ანალიზის მეთოდები.

გასული საუკუნის 90-იან წლებში, იმ ურთულეს ხანაში, როდესაც ეკონომიკური, კულტურული თუ სულიერი ცხოვრება ჩვენში თითქმის პარალიზებული იყო, ოთარ ლორთქიფანიძემ შეიმუშავა ახალი სტრატეგია ცენტრის სამეცნიერო საქმიანობისა. ამ ახალი ტენდენციის წყალობით არა მხოლოდ თვითონ ბატონ ოთარს, არამედ მთელ დაწესებულებას ერთი დღითაც კი არ შეუნელებია მუშაობის ჩვეული ტემპი. მის მიერ შემუშავებული პროგრამის თანახმად, ცენტრში გამოსაცემად მზადდებოდა საქართველოს არქეოლოგიური ატლასი, „ქართლის ცხოვრების“ ტოპოგრაფიულ-არქეოლოგიური ცნობარი, არქეოლოგიური ტერმინოლოგიის ქართული განმარტებითი ლექსიკონი, კლასიკური არქეოლოგიის მრავალენოვანი ლექსიკონი, ანტიკური ხანის შავიზღვისპირეთის ტოპოგრაფიული ცნობარი, კლასიკური არქეოლოგიის იკონოგრაფიული ლექსიკონი. ბატონი ოთარის სახელთანაა დაკავშირებული მაღალ სამეცნიერო დონეზე ორგანიზებული ვანის არქეოლოგიური მუზეუმის დაარსება, რომელიც დღეს მის სახელს ატარებს. დიდია მისი წვლილი ფოთის არქეოლოგიურ-ეთნოგრაფიული მუზეუმის არქეოლოგიური გამოფენის მოწყობაშიც. იგი იყო სულის ჩამდგმელი და ორგანიზატორი საზღვარგარეთ მოწყობილი არაერთი არქეოლოგიური გამოფენისა (მოსკოვში, საარბრიუკენში, შტუტგარტში, კოშტანცში, ბრაუნშვაიგში, ბოხუმში, ბონში და სხვ.). ოთარ ლორთქიფანიძემვე ჩაუყარა საფუძველი შავიზღვისპირეთის ძველი ისტორიისა და არქეოლოგიისადმი მიძღვნილ ვანის საერთაშორისო სიმპოზიუმს. მისი თაოსნობით მოეწყო აგრეთვე საერთაშორისო კოლოკვიუმები კავკასიის იბერიისა და მისი მომიჯნავე ქვეყნების ძველი ისტორიისა და არქეოლოგიის შესახებ.

განუზომლად დიდია ოთარ ლორთქიფანიძის როლი ქართული არქეოლოგიური სკოლის განვითარებაში. ასპირანტურის დამთავრებისთანავე, 1957 წლიდან მან დაიწყო პედაგოგიური მოღვაწეობა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სადაც სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე ხელმძღვანელობდა მაგისტრანტებს და კითხულობდა ანტიკური ხელოვნებისა და არქეოლოგიის კურსს. ლექციების ეს კურსი დაედო საფუძვლად სახელმძღვანელოს „ანტიკური არქეოლოგია“. მისი ხელმძღვანელობით 20-მდე საკანდიდატო დისერტაციაა დაცული. ბატონი ოთარის მოწაფეთა შორის შვიდი მეცნიერებათა დოქტორია.

საქართველოს ისტორიისა და არქეოლოგიის განვითარებაში შეტანილმა უდიდესმა წვლილმა აკადემიკოს ოთარ ლორთქიფანიძეს საყოველთაო აღიარება მოუტანა არა მარტო ჩვენში, არამედ საზღვარგარეთაც. ამის დასტურია მისი არჩევა სხვადასხვა ქვეყნების (ესპანეთი, გერმანია, იტალია, შვეიცარია, პოლონეთი, ბულგარეთი და სხვ.) აკადემიების, ასოციაციებისა და პერიოდული თუ სერიული გამოცემების სარედაქციო საბჭოების წევრად. იგი იყო კლასიკური მითოლოგიის იკონოგრაფიული ლექსიკონის საერთაშორისო კომიტეტის წევრი. 1972 წელს ოთარ ლორთქიფანიძე აირჩიეს პოლონეთის არქეოლოგიის საზოგადოების, 1978 წელს – კლასიკური არქეოლოგიის ასოციაციის წევრად. 1980 წლიდან იგი – გერმანიის არქეოლოგიის ინსტიტუტის წევრ-კორესპონდენტი, ხოლო 2001 წლიდან ესპანეთის სამეფო საისტორიო აკადემიის წევრია. გარდა ამისა, ბატონი ოთარი იყო ინდოევროპული და თრაკოლოგიური კვლევის საერთაშორისო კონსულატის, ქალაქ მაინცის (გერმანია) არქეოლოგიური საზოგადოების საპატიო წევრი.

ბატონი ოთარის მიერ მრავალრიცხოვან საერთაშორისო კონგრესებზე, კონფერენციებსა და კოლოკვიუმებზე წაკითხული მოხსენებები, საჯარო ლექციები, სამეცნიერო-პოპულარული ხასიათის ნაშრომები ფართო აუდიტორიისათვის ხელმისაწვდომს ხდიდა ქართული არქეოლოგიის მონაპოვარს. მამულიშვილობა, მაღალზნეობრიობა, პასუხისმგებლობის გამახვილებული გრძნობა, არაჩვეულებრივი გულისხმიერება და სიკეთე, სხარტი იუმორი ბატონ ოთარს განუმეორებელ ადამიანურ ხიბლს ანიჭებდა. იგი უდიდესი პატივისცემითა და სიყვარულით სარგებლობდა არა მხოლოდ მეგობრების, მოწაფეების და კოლეგების წრეში, არამედ მთელ ჩვენს საზოგადოებაში.

**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია**

**საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილება**

# „ქართუს“ დაფინანსებით კიდევ ერთი ეკლესია აღდგა

კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ნებართვითა და ფონდი „ქართუს“ დაფინანსებით, ბოლნისის მუნიციპალიტეტში, ქვემო არქევანში დარბაზულ ეკლესიას სარესტავრაციო სამუშაოები ჩაუტარდა. სააგენტოს ცნობით, ეკლესიას დაზიანებული ჰქონდა სახურავი, კედლების კარნიზები. ფასადების გარკვეულ უბნებში ჩამოშლილი იყო საპირე ქვები. ინტერიერში კი იყო ჩამონგრეული კუთხეები. ეკლესია აღდგა სუფთად თლილი ტუფის ქვით. შესრულებული სამუშაოების შედეგად, მოიხსნა უვარგისი დაშლილი დუღაბი და ძველი წყობის მიხედვით აღდგა საპირე ქვები ფასადებსა და ინტერიერში. ინტერიერში აღდგა დასავლეთ კედლის პილიასტრი, საკურთხევლის მხრები, სამხრეთ და აღმოსავლეთ სარკმელი. ეკლესიის მთელ პერიმეტრზე გამოილესა კედლის საპირე ქვები. გასუფთავდა კარნიზის ბუდეები და მოეწყო ოთხივე კუთხე ახლით ასევე გადაეწყო ძველი კარნიზები მცირედი შესწორებებით. აღდგა ჩამონგრეული კამარა, მისი აღდგენის შემდეგ გადაილესა ქანობები მთლიანად კირის დუღაბით. მოეწყო თუნუქის სახურავი ლორფინის იმიტაციით. ინტერიერში მოეწყო იატაკი ბოლნისის ტუფის ქვით, ძველი იატაკის დონის მიხედვით. სარკმლები რკინის ბადეებით. მოეწყო ამბიონი მასიური მთლიანი ქვით, დაიდგა ტრაპეზის ქვა.



**„ეკლესია დარბაზულია, ის ასახავს ამ რეგიონის დაცემისა და აღორძინების ისტორიას. ეკლესიის საფასადო სახე მეტყველებს მის მრავალჯერ აღდგენას და დღევანდელი სახით მისი მხატვრულ-არქიტექტურული ნიშნებით უნდა ეკუთვნოდეს გარდამავალი ხანის ძეგლთა სიას. სარეაბილიტაციო სამუშაოებს ასრულებდა შპს „ბიჯი“, ხელოვნებათმცოდნე, არქიტექტორ-რესტავრატორი მარიამ უგრეხელიძე“,** – აცხადებენ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოში.

## ვანო ჩხიკვაძე

# ვაიმე, რა ცოტანი ვართ შენი შვილობის ღირსი...



ვანო ჩხიკვაძე და გივი ბერიკაშვილი

### როკი

მითხარი, ვინ მოგისია
ამდენი გველის ძლოკვი.
კავკასიონის ციკლოპი –
ცეცხლისმფრქვეველი როკი.

მოდის ტყვია და შრაპნელი
ქართლის მინდვრების ლოკვით.
მარადიული ამკლები –
დუჟმორეული როკი.

ვაიმე, რა ცოტანი ვართ
შენი შვილობის ღირსი...
როკი – სიკვდილის გვირაბი,
წმინდა საკინძეს გიხსნის.

ვაიმე, მტერი – მოყვარე,
იცვამს სიცრუის აბჯარს,
ტყუის – გვირაბის ბოლოში
სინათლის წვეთიც არ ჩანს.

მოდის ტყვია და შრაპნელი
ქართლის მინდვრების ლოკვით.
მარადიული ამკლები –
როკი დაგჩხავის, როკი.

ღმერთო, შენ მაინც მოჰკითხე,
ცეცხლით ვინც ამომშანთა,
ვინც მოარღვია ქართლის ცა
ღვთისმშობლის კაბის კალთას.
2008

* * *

გვპირდებიან, გვპირდებიან,
გვპირდებიან, გვპირდებიან,
იმედები გაუშლელად ჩამომჭკნარი
კვირტებია...

ერთიანი, სამიანი, ოთხიანი, ხუთიანი,
უბანში რომ სანაგვეა, საარჩევნო
ყუთი არის.

ზოგი ყეფით მოვარდება, ზოგი
ბრძნული ნაბიჯებით.
დამკვირვებელიც აქ არის –
ძუკნა თავის ნაბიჭვრებით.

გაგრძელდება დებატები,
გაგრძელდება არჩევნები,
ვიდრე ყუთი დაიცლება, გაძეძგილი
ნარჩენებით.

ოთხფეხებშიც გაჯეჯილდი
ტყუილების ბენეფისო –
ყეფენ, ყეფენ გამეტებით, შეღნავიან
ტელევიზორს.

იღრენენ და იყეფებენ თუ არ
გამოყრიან სახრით,
თვალი ცუდად უთამაშებს
პარლამენტის დიასახლისს.

თეთრები და, წითლები და,
ცისფრები და, ფერადები,
გამოდიან მიკროფონთან
თვითმარქვია ბელადები.

მარჩენალო იმედებო, როდის
ამოთავთავდებით,
თორემ სული ამომდის და სადაც
არის გავთავდები.

2008

### ესკიზი ომის თემაზე

თვითმფრინავებო, გამორთეთ
ძრავები –
ნაომარი ქალაქის თავზე
ჩუმად იფრინეთ.

იქ, ქვემოთ,
შიშით გათეთრებულ, ჭაღარა
ბავშვებს
ძილშიც აცვივათ
დაფშვნილი შუშის ნამსხვრევები.

(არ გამოსულა მძიმე კომადან,
ვერ გამოვიდა მძიმე შოკიდან,
ტვინის ბათქაში, სისხლის პომადა,
სახსოვრად შერჩათ კედლებს
ომიდან).

ისე, თქვენც კარგი ჩიტები ხართ
პრეზიდენტებო,
სენატორებო,
დამკვირვებლებო
და ა.შ.

რომ დაჟივჟივებთ დაბომბილი
ქალაქის თავზე...

ჩუმად-მეთქი,
ომი დამთავრდა –
ჩვენს სიზმრებში გრძელდება ომი...

2008

### მიტინგი

სისხლგამდინარე გულივით
მთრთოლი
რად გაგვახსენდა ნეტავ „კრწანისი!“ –
დღეს სამშობლოს დაძახილზე
ოთხმოცი ათასიც ვერ მოვიდა,
ხვალ, მკვდარ საქართველოს,
ხუთი მილიონი „ზაქიჭამია“
დაიტირებს.
2009

* * *

მოულოდნელად, როგორც ფანტომი
პოეტს ესტუმრა მეფე-ბატონი.
შეუქეს, შემდგომ სალამ-ქალამის,
ამან – მეფობა,
იმან – კალამი.

შეეფერებათ ვითარც ახლობლებს,
იმასლაათეს და ილაღობეს.

ჩვენს სასიკეთოდ, განგების ძალით,
გვერდიგვერდ ძოვდა მგელი და
ცხვარი...

იქვე, უხილავ კარის მასხარას,
წამოსცდა, ბევრი არ დაახანა:

„როცა ქვეყანას რყვნის ფანფარონი,
როცა ხორცი და სული შიმშილობს,
როცა მტყუანი მართალს აბოლებს,
შენ რა გახარებს, შე ვირიშვილო!..“

ხანდაზმულ მგოსანს უკვდავებისკენ
გაუადვილოს, ვინძლო, ნახტომი –
მულოდნელად, როგორც ფანტომი
პოეტს ესტუმრა მეფე-ბატონი.
2009

### აგვისტოს იავნანა

სუ, პატარავ, სუ,
თორემ მოვა „სუ“.

ისე აკრიახდება,
შეგვიგუბებს სულს –
ჩრდილოეთის „ჯუჯულას“
ჩვენი მიწა სურს.

ამიტომაც „კრუხი“
მოქრის ბაქიბუქით.

მტრის სახლსა და მტრის კარს,
სადაც დასცხებს ნისკარტს –
მოაქვს „კვერცხი“ პილოტს,
ათჯერ ასი კილო.

სუ, პატარავ,
„სუს“

მტირალები სძულს.

გახევს ღრუბლის თექას
სისხლიანი ჩექმა
და ბოროტი კვერცხი
სიკვდილს გამოჩეკავს.

სუ, პატარავ, სუ,
თორემ მოვა „სუ“.

მოვა ორი ჯუჯა,
თვალს თუ არ მოხუჭავ.

ომი უნდათ ჯუჯებს,
სისხლისმღვრელი ომი.
ემონებათ გნომებს
მახინჯების ტომი.

ავბედითო „კრუხო“
ვისი სული გსურს...
სუ, პატარავ, სუ...
„სუ“ მოფრინავს, „სუ“...

2008

### ფილმი აგვისტოს ომზე

ისევ აქოთდა ქალაქი
კვამლის და დენთის სუნად.
ხრჭიალებს დაჯახებული,
რკინა რკინასა ღუნავს.

ზეცა ჩამოდის გრიალით,
კადრები ცვლიან კადრებს.
სიკვდილის ბუტაფორია
შუა ქალაქში დადგეს.

ამერიკული სენდვიჩი,
ბავარიული ლუდი.
ქართულ ტალახში გორაობს
ვარსკვლავი ჰოლივუდის.

ჭახანით სკდება ფუგასი,
ტანკის სხეულში ბრუნავს.
მოახლოვდება, დაზაფრავს,
სმენას რუსული „ურა.“

გრიმით „ჩეხავენ“ ყვრიმალებს,
ქუჩაში ყრიან ჭურვებს.
დგას რეჟისორი რუპორით –
„ოსკარს“ თვალს უპაჭუნებს.

როგორც აგვისტოს რეფრენი,
ქალაქს გუგუნით დაღლის,
ამერიკული ვერტმფრენი,
ფერდზე ქართული დამღით.

ვის ახსოვს სამაგიერო
განრისხებული უფლის.
გადიღეს ბომბდამშენების
ცაში მორიგი დუბლი.

ფილმია –
ვითომ კვდებიან,
ვითომ იბრძვიან, ვითომ,
ნანგრევში გადაჩეხილი
ვითომ შველასაც ითხოვს.

ზეცა ჩამოდის გრიალით,
კადრები ცვლიან კადრებს.
სიკვდილის ბუტაფორია
შუა ქალაქში დადგეს.

მე კი, არ ვიცი, აგვისტოს
ომიც და აგონიაც,

ჩვენს დასაქცევად დადგმული
სპექტაკლი რად მგონია.

ვიდრე „წითელი ტერორი“
არ დაექანა დაღმა,
თავისუფლება არ მქონდა,
ახლა... სამშობლოც არ მაქვს.
2009

* * *

ამათთვის სულერთია,
სენა თუ ლა-მანშია,
თუ ქალი ტროტილით ქამარში.
საქმეც ამაშია,
ომიც თამაშია,
ოღონდ დიდების თამაში.

რა მნიშვნელობა აქვს,
ბუშია, ობამა,
მაინც თამაშობენ ომობანას.

ვინ კვდება,
სულერთია,
სერბია, თალიბი,
სუნიტი ტერორისტი,
არაბი ღარიბი –
ამათი რა მიდის!

საქმეც ამაშია,
ომიც თამაშია,
ოღონდ დიდების თამაში.
2010

### შეკითხვაზე, რა ხდება საქართველოში?

გაქრა რუსული „კალოში“,
სულ სხვა აქცენტი – კილოში.
„საინტერესო დრო“ გვიდგას –
ილიას ცვლიან – ილოში.

ქართველი კაცი გადის და
ინვესტიცია შემოდის.
– რა ხდება?
– ფეხი აიდგეს,
ძეგლებმაც საქართველოში.

მომხდურმა, ვისი შიშითაც
ვერ იფაშა და იხონთქრა,
დავითმა ცხენი ასკუპა,
დასცა ბანაკი დიღომთან.

კვარცხლბეკს დატოვებს ბელადი,
ვიდრე მზე ბინდბუნდს მიმოშლის,
„ხალხებზე“ ზრუნვით დაღლილი
ისვენებს სადღაც, გრილოში.

რა ხდება? –
ზოგი – ანგელოზს,
ზოგიც სატანას შეგირდობს.
ზოგსაც სუყველა ჰკიდია
იქ, სადაც უნდა ეკიდოს...

სულო, ვის ომში მიხმობენ,
სად უნდა ამომეცალო.
უიღბლო ჭირისუფალო,
საით, ალაზნის მერცხალო!
2010

### „ახალი რეალობა“

„ფურთხის ღირსი ხარ...“
აკაკი

აქეს, აქეს, აქეს, აქეს,
რა არ დასცდა ცბიერ ბაგეს.
მერე მიესივნენ ხორაგს,
ბლომად სალაფავი თაქეს.

აქაც მოიოხეს ჟინი,
მთებად მოაჩვენეს ვაკე.
განსხვავებულ სასმისებით
აქეს, აქეს, აქეს, აქეს.

ყველაფერმა ჩაიარა,
ახლაც ისე, როგორც ადრე –
ქებით თავი მოაჭრეს და
ხოტბით ყელი გამოღადრეს.

ბოლოს ყველა დაეფანტა,
ზოგი – იქით,
ზოგი – აქეთ.
შერჩა მარტო ნამუსრევს და
თეთრ სუფრაზე ღვინის ლაქებს...

აქეს, აქეს, აქეს, აქეს...
2015

## „შარლ ებდო“ ცეცხლს ეთამაშება

თურქეთის მთავრობამ ფრანგული სატირული ჟურნალი Charlie Hebdo თურქეთის პრეზიდენტ რეჯეფ თაიფ ერდოღანზე გამოქვეყნებული კარიკატურას გამო გააკრიტიკა.




**„ვგმობთ ამ პუბლიკაციის მეშვეობით კულტურული რასიზმისა და სიძულვილის დათესვის ამაზრზენ მცდელობას“,** — დაწერა ტვიტერზე ერდოღანის პრესმდივანმა ფახრეტინალთუნმა. კარიკატურა, რომელიც გამოცემის ახალ ნომერშია, სავარძელში საცვალში მჯდომ ერდოღანს ასახავს. პრეზიდენტი ქალს ისლამურ კაბას უწევს და იძახის: „უ'წინასწარმეტყველო!“

Charlie Hebdo-ს პუბლიკაცია საფრანგეთის და რამდენიმე ისლამურ ქვეყანას შორის დაძაბული კონფრონტაციის ფონზე დაიბეჭდა. ამის მიზეზი კი საფრანგეთის პრეზიდენტის ემანუელ მაკრონის განცხადებები გახდა 47 წლის მასწავლებლის სამუელ პატის მკვლელობის შესახებ, რომელმაც მოსწავლეებს წინასწარმეტყველზე კარიკატურები აჩვენა. კერძოდ, მაკრონმა აღნიშნა, რომ ისლამი კრიზისშია, მასწავლებელი კი „რესპუბლიკის განსახიერებაა“. **„კარიკატურებსა და ნახატებზე უარს არ ვიტყვით“,** — განაცხადა მაკრონმა.

## ამერიკის დეპარტამენტში ვინმე თუ იცნობს ტიხანოვსკაიას?

**„აშშ და მსოფლიო ბელარუს ხალხს სოლიდარობას უცხადებს. მათ სასტიკი რეპრესიების წინაშე წარმოუდგენელი სიმამაცე გამოიჩინეს. ჩვენ განვაგრძობთ ბელარუსი ხალხის კანონიერი მისწრაფებების მხარდაჭერას“,** — განაცხადა აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის ოფიციალურმა წარმომადგენელმა მორგან ორტაგუსმა.

23 სექტემბერს მინსკში ალექსანდრ ლუკაშენკოს ინაუგურაციის ცერემონია გაიმართა, რომლის შესახებ მანამდე არაფერი იყო ცნობილი. ღონისძიებას ასობით ბელარუსი საჯარო მოხელე დაესწრო. ცერემონიის კადრები ადგილობრივ მედიაში მხოლოდ ღონისძიების დასრულების შემდეგ გავრცელდა. ბელარუსის ოპოზიციის ლიდერმა სვეტლანა ტიხანოვსკაიმ კი თავი ბელარუსის ერთადერთ ლეგიტიმურ ლიდერად გამოაცხადა. ევროკავშირმა ბელარუს მაღალჩინოსნებს სანქციები დაუწესა.

# მოთხოვნა ინტერესის გამოსახატავად

**საქართველო**

**დავალების დასახელება: თბილისი-ბაკურციხე-ლაგოდეხის საერთაშორისო გზის თბილისი-სართიჭალა (ლოტი 1) და სართიჭალა-საგარეჯოს (ლოტი 2) მონაკვეთების სამშენებლო სამუშაოების ზედამხედველობა.**

**კონტრაქტის/ RFP No: GOG/CS/QCBS-01**

1. საქართველოს მთავრობამ გამოყო სახელმწიფო ბიუჯეტის თანხის გარკვეული ნაწილი, რათა დააფინანსოს ორი ახალი საავტომობილო გზის: თბილისი-სართიჭალასა (ლოტი 1) დაახლოებით 18.2 კმ სიგრძის და სართიჭალა-საგარეჯოს (ლოტი 2) დაახლოებით 16.8 კმ სიგრძის საავტომობილო გზის მონაკვეთების მშენებლობა.

2. საპროექტო გზები მდებარეობს კახეთის რეგიონში, საქართველოს ერთ – ერთ მთავარ ისტორიულ, ეკონომიკურ და კულტურულ რეგიონში. თბილისი-ბაკურციხე-ლაგოდეხის (აზერბაიჯანის საზღვარი) საერთაშორისო გზის ეს მონაკვეთები აკავშირებს თბილისსა და კახეთის რეგიონს და წარმოადგენს აზერბაიჯანის ჩრდილო-დასავლეთ რეგიონის მთავარი სატრანზიტო დერეფნის ნაწილს. საპროექტო გზის მონაკვეთები გადის მჭიდროდ დასახლებულ ადგილებში და კვეთს ვაზიანის, სართიჭალას, პატარძეულის, წყაროსთავის, ნინოწმინდის, გიორგიწმინდის, თოხლიაურისა და საგარეჯოს დასახლებებს. პროექტი ითვალისწინებს თითო მიმართულებით ორ ზოლიანი გზის მშენებლობას, რომელიც გამოყოფილი იქნება ნიუ – ჯერსის ბარიერებით გზის მთელ მონაკვეთზე. გზა არის 4 x 3.75 მ სიგანის, გვერდულის სიგანით 2.5 მ. გზის სიგანე გვერდულიდან გვერდულამდე არის 30,5 მ. გზის კონფიგურაცია აგებულია ცემენტ-ბეტონის საფარით. საპროექტო სიჩქარეა 120 კმ /საათში. საერთო ჯამში, ლოტი 1-სა და ლოტ 2-ს აქვს 4 გზაჯვარედინი და 41 ხიდი (მათ შორის 4 ცალმხრივი სარკინიგზო ხიდი, 13 საავტომობილო ხიდი, 3 ესტაკადა და 2 ხიდი ადგილობრივ გზებზე), სხვადასხვა ზომის 155 ბოქს კონსტრუქცია ჰიდრავლიკური და მიწისქვეშა მიზნებისათვის.

3. საკონსულტაციო მომსახურება მოიცავს თბილისი-ბაკურციხე-ლაგოდეხის საერთაშორისო გზის თბილისი-სართიჭალა (loti 1) და სართიჭალა-საგარეჯოს (ლოტი 2) მონაკვეთების სამშენებლო სამუშაოების ზედამხედველობას.

4. საკონსულტაციო მომსახურების ძირითადი მიზნებია: (ა) დეტალური პროექტის განხილვა; (ბ) ინჟინრის ფუნქციების შესრულება ხელშეკრულების პირობების შესაბამისად (FIDIC წითელი წიგნი, მეორე გამოცემა 2017); (გ) პროექტის განხორციელებისას კონტრაქტორის მიერ ჩატარებული აქტივობების ყოვლისმომცველი ზედამხედველობა, რათა უზრუნველყოფილი იყოს ნახაზებთან, ტექნიკურ სპეციფიკაციებთან და კონტრაქტის შემადგენელ სხვა დოკუმენტებთან შესაბამისობა, ზედამხედველობასა და სამუშაოების შესრულებაში ხარისხის უზრუნველყოფის მაღალი სტანდარტებით; (დ) რეკომენდაციების მიცემა დამსაქმებლისთვის კონტრაქტების მართვასთან დაკავშირებულ ყველა საკითხზე და დამსაქმებლისთვის დახმარების გაწევა სამუშაოების განსაზღვრულ ვადაში და განსაზღვრული ხარჯებით დასრულებისთვის.

5. კონსულტანტი, მოსალოდნელია, რომ უზრუნველყოფს საკონსულტაციო მომსახურების გასაწევად 594 კაც-თვეს: 474 ძირითადი ექსპერტების და 120 არა-ძირითადი ექსპერტების. მომსახურების ხანგრძლივობა იქნება 56 თვე (მათ შორის 2 თვე პროექტის განხილვისთვის, 30 თვე მშენებლობის ზედამხედველობა, 24 თვე დეფექტების შეტყობინების პერიოდი). მომსახურების დაწყება მოსალოდნელია 2021 წლის მეორე კვარტალში.

6. მეტი დეტალებისთვის, გთხოვთ იხილოთ დავალების ტექნიკური დავალება, რომლის ჩამოტვირთვა შესაძლებელია ქვემოთ მითითებულ ბმულზე:

https://www.dropbox.com/sh/w2bnz622spyv4s2/AABek2Nz6Ay-cnaQXKgYH60Ma?dl=0

7. საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი იწვევს უფლებამოსილ საკონსულტაციო კომპანიებს (კონსულტანტებს) ინტერესის გამოსახატად ზემოხსენებული საკონსულტაციო მომსახურების გასაწევად. დაინტერესებულმა კონსულტანტებმა უნდა წარმოადგინონ ინფორმაცია იმის შესახებ, რომ აქვთ მოთხოვნილი კვალიფიკაცია და შესაბამისი გამოცდილება მომსახურების შესასრულებლად.

**კონსულტანტის შერჩევისთვის განსაზღვრულია შემდეგი საკვალიფიკაციო მოთხოვნები:**

| ზოგადი გამოცდილება | გამოცდილება საგზაო ინფრასტრუქტრულ პროექტებში |
|---|---|
| მსგავსი გამოცდილება | მინიმუმ 2 პროექტი, რომელთა მინიმალური ღირებულების 4 800 000 აშშ დოლარის ექვივალენტია, დაკავშირებულია მაგისტრალის/ ჩქაროსნული მაგისტრალის სამშენებლო სამუშაოების ზედამხედველობასთან (სარეაბილიტაციო პროექტების ზედამხედველობა არ განიხილება) შესრულებულია FIDIC წითელი წიგნის ან FIDIC MDB ხელშეკრულების ჰარმონიზებული ვერსიის პირობების შესაბამისად და წარმატებით განხორციელდა 01.01.2013 წლიდან ინტერესთა გამოხატვის მიღების ბოლო ვადამდე, როგორც მითითებულია მე-12 პუნქტში. |
| | წარმოდგენილი ცნობით პროექტი სრულად უნდა იყოს დასრულებული<br>- კოსნულტანტი სრულად უნდა აკმაყოფილებდეს მოთხოვნას,<br>- ერთობლივი საწარმოს შემთხვევაში ყველა პარტნიორი ერთობლივად: უნდა აკმაყოფილებდეს მოთხოვნას *<br>- ერთობლივი საწარმოს შემთხვევაში თითოეული პარტნიორი უნდა აკმაყოფილებდეს მოთხოვნის მინიმუმ 25 %-ს (მინიმუმ 1 პროექტი, თითოეული მინიმალური ღირებულებით 4 800 000 აშშ დოლარის 25 %, (ე.ი. 1 200 000 აშშ დოლარის ექვივალენტი),<br>- ერთი პარტნიორი: არაა განსაზღვრული<br><br>* ერთობლივი საწარმოს შემთხვევაში, მისი წევრების მიერ დადებული ხელშეკრულებების ღირებულება არ დაჯამდება იმის დასადგენად, დაკმაყოფილებულია თუ არა მსგავსი ხელშეკრულების მინიმალური ღირებულების მოთხოვნები. ამის ნაცვლად, თითოეული წევრის მიერ შესრულებული ხელშეკრულება უნდა აკმაყოფილებდეს მსგავსი ხელშეკრულების მოთხოვნების მინიმალურ ღირებულებას. |

ძირითადი ექსპერტები მოკლე სიის ეტაპზე არ შეფასდებიან. საავტომობილო გზების დეპარტამენტი იტოვებს უფლებას გადაამოწმოს წარმოდგენილი ცნობები და გამოიყენოს მოპოვებული ინფორმაცია შეფასების მიზნებისთვის.

8. დაინტერესებულმა კონსულტანტებმა ყურადღება უნდა გაამახვილონ მსოფლიო ბანკის „შესყიდვების რეგულაციები სესხის ამღებთათვის“ 2016 წლის ივლისი, გადახედილი 2017 წლის ნოემბერსა და 2018 წლის აგვისტოში (შესყიდვების რეგულაციები) მე-2 ნაწილის 3.14, 3.16 და 3.17 პარაგრაფებს, სადაც განსაზღვრულია მსოფლიო ბანკის პოლიტიკა ინტერესთა კონფლიქტის შესახებ. დამატებით, გთხოვთ იხილოთ შემდეგი სპეციფიკური ინფორმაცია ინტერესთა კონფლიქტთან დაკავშირებით ამ დავალებისთვის: კონსულტანტმა დავალებასთან მიმართებაში ანაზღაურება უნდა მიიღოს მხოლოდ კონტრაქტში მითითებული პირობების შესაბამისად. დაუშვებელია კონსულტანტისა და მისი ფილიალების მონაწილეობა ისეთ საკონსულტაციო ან სხვა ღონისძიებებში, რომლებიც კონტრაქტის თანახმად დამკვეთთან ინტერესთა კონფლიქტს წარმოშობს.

9. კონსულტანტებს შეუძლიათ ასოცირდნენ სხვა ფირმებთან მათი კვალიფიკაციის ასამაღლებლად, მაგრამ უნდა მიუთითონ შესაბამის ფორმაში ამ ასოცირების სახე: ერთობლივი საწარმოს წევრი ან/და ქვე-კონსულტი. ერთობლივი საწარმოს შემთხვევაში, საწარმოს ყველა პარტნიორი უნდა იყოს ერთად და ცალცალკე პასუხისმგებელი კონტრაქტის შესრულებაზე მათი შერჩევის შემთხვევაში. კომპანიის გამოცდილების შეფასებისას ქვე-კონსულტანტების გამოცდილება არ იქნება გათვალისწინებული. დავალების შესაბამის პროექტებში გამოცდილება უნდა იქნეს წარმოდგენილი სპეციალური ფორმის შესაბამისად, რომელიც ატვირთულია ტექნიკურ დავალებსთან ერთად.

10. კონსულტანტების შერჩევა მოხდება ხარისხსა და ფასზე დაფუძნებული შერჩევის შესაბამისად, რომელიც განსაზღვრულია შესყიდვების რეგულაციებით.

11. დაინტერესებულ კონსულტანტებს დამატებითი ინფორმაციის მიღება შეუძლიათ ელ-ფოსტით: info@georoad.ge

12. ინტერესის გამოხატვა შესაბამის ინფორმაციასთან ერთად წარმოდგენილ უნდა იქნას ელექტრონული ფორმით ან ნაბეჭდი ვერსიის სახით ქვემოთ მითითებულ მისამართზე არაუგვიანეს **2020 წლის 16 ნოემბრის 17:00 საათისა.**

13. საკონტაქტო პირი: ლევან კუპატაშვილი

თანამდებობა: საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე

მისამართი: ალ.ყაზბეგის გამზირი #12, თბილისი, 0160, საქართველო

ელ. ფოსტა: info@georoad.ge

ვებ-გვერდი: www.georoad.ge

# REQUEST FOR EXPRESSIONS OF INTEREST (CONSULTING SERVICES – FIRMS SELECTION)

## GEORGIA

## Assignment Title: Supervision of Construction Works for Tbilisi – Sartichala (Lot 1) and Sartichala – Sagarejo (Lot 2) sections of Tbilisi – Bakurtsikhe – Lagodekhi International Road

## Contract/RFP No: GOG/CS/QCBS-01

1. The Government of Georgia has allocated the funds from the State Budget to finance the construction of new sections from Tbilisi to Sartichala (Lot 1) being approximately 18.2 km long and Sartichala to Sagarejo (Lot 2) being approximately 16.8 km long.

2. The project roads are based in the Kakheti region, one of the main historical, economic and cultural regions of Georgia. These sections of the Tbilisi-Bakurtsike-Lagodekhi (Border of Azerbaijan) international road connects Tbilisi to Kakheti region and are part of the main transit corridor to the north-west region of Azerbaijan. The project road sections run through the densely populated areas and crosses Vaziani, Sartichala, Patardzeuli, Tskarostavi, Ninotsminda, Giorgitsminda, Tokhliauri and Sagarejo settlements. The project is for construction of 2 lanes per direction, separated by the New Jersey Barriers for the entire stretch of the road. The road is 4 x 3.75m width with hard shoulder of 2.5m wide. The road width from shoulder to shoulder is 30.5 m. The road configuration is constructed with the cement-concrete pavement. The design speed is 120km/ph. In total, Lot 1 and 2 have 4 interchanges and 41 bridges (including 4 single track railway bridges, 13 motorway bridges, 3 motorway overpass bridges and 2 bridges on local roads), 155 box structures of various opening sizes for hydraulic and underpass purposes.

3. The consulting services ("the Services") include "**Supervision of Construction Works for Tbilisi – Sartichala (Lot 1) and Sartichala – Sagarejo (Lot 2) sections of Tbilisi – Bakurtsikhe – Lagodekhi International Road".**

4. The primary objectives of the consulting services ("the Services") are as follows: (i) to review the detailed designs (ii) to function as the Engineer in administering the civil works contracts and execution of all rights and responsibilities of the Engineer in accordance with the Conditions of the Contract (FIDIC Red Book Second edition 2017), (iii) comprehensive supervision of project implementation activities carried out by the contractors to ensure the compliance with the drawings, technical specifications and various stipulations contained in the contract documents, with high standards of quality assurance in supervision and in the execution of works; (iv) advice the Employer on all matters concerning the contracts management and support the Employer to have the works completed within the stipulated time for completion and cost to the extent possible.

5. The Consultant is expected to provide approximately 594 person-months of consulting services: 474 of Key Experts and 120 Non-Key Experts. The Services will be provided over a period of **56 months** (including 2 months for Design Review, 30 months of construction supervision and 24 months of DNP), commencing tentatively in Q2 2021.

6. For more details, please refer to the link below to download the Terms of Reference (TOR) for the subject assignment:
https://www.dropbox.com/sh/w2bnz622spyv4s2/AABek2Nz6Ay-cnaQXKgYH60Ma?dl=0

7. The Roads Department of the Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia (RDMRDI) now invites eligible consulting firms ("Consultants") to indicate their interest in providing the Services. Interested Consultants should provide information demonstrating that they have the required qualifications and relevant experience to perform the Services.

The selection criteria are:

Key Experts will not be evaluated at the shortlisting stage. The Roads Department reserves it's right to verify submitted references and use obtained information for evaluation purposes.

| | | |
|---|---|---|
| 1 | General experience | Experience in road infrastructure projects; |
| | | At least 2 projects, each of a minimum value of USD 4 800 000 equivalent, related to the supervision of highway/motorway/expressway construction works, (supervision of rehabilitation projects shall not be considered) executed under either FIDIC RED Book or FIDIC MDB Harmonized version conditions of contract, successfully carried out from 01.01.2013 up to the deadline for the receipt of EOIs indicated under item 12 below |
| 2 | Similar experience | |
| | | The submitted references should be fully completed.<br>- single entity: must meet requirement,<br>- all partners combined: must meet requirement*,<br>- each partner: must meet at least 25 % of the requirement (at least 1 project, each of a minimum value of 25 % of USD 4 800 000 (i.e. USD 1 200 000) equivalent.),<br>- one partner: N/A<br>* In the case of JV, the value of contracts completed by its members shall not be aggregated to determine whether the requirement of the minimum value of a similar contracts has been met. Instead, each contract performed by each member contributing to meeting the requirement shall satisfy the minimum value of a similar contract as required for single entity. |

8. The attention of interested Consultants is drawn to Section III, paragraphs, 3.14, 3.16, and 3.17 of the World Bank's "Procurement Regulations for IPF Borrowers" July 2016 Revised November 2017 and August 2018 ("Procurement Regulations"), setting forth the World Bank's policy on conflict of interest. In addition, please refer to the following specific information on conflict of interest related to this assignment: The consultant shall not receive any payment in connection with the assignment except as provided in the contract. The consultant and its affiliates shall not engage in consulting or other activities that conflict with the interest of the Employer under the contract.

9. Consultants may associate with other firms to enhance their qualifications, but should indicate clearly whether the association is in the form of a joint venture and/or a sub-consultancy. In the case of a joint venture, all the partners in the joint venture shall be jointly and severally liable for the entire contract, if selected. The experience of sub-consultants will not be taken into account while evaluating the corporate experience of the company. Experience in the projects relevant to the assignment should be submitted in the form uploaded together with the Terms of Reference.

10. A Consultant will be selected in accordance with the Quality and Cost Based Selection method set out in the Procurement Regulations.

11. Interested consultants may obtain further information at the address: info@georoad.ge

12. Expressions of Interest accompanied relevant information mentioned above must be submitted either as a hard copy or electronically to the address below not later than **November 16, 2020, 17:00 hours.**

Name: Levan Kupatashvili

Position: Deputy Chairman of Roads Department of the Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia

Address: 12 Al. Kazbegi Avenue, Tbilisi, 0160, Georgia

Email: info@georoad.ge

Web-Site: www.georoad.ge



## ფაშინიანის ცოლი ომში მიდის

სომხეთის პრემიერ-მინისტრის ცოლი ანა აკოფიანის თქმით, სამხედრო წვრთნების გავლის შემდეგ ყარაბაღში, საზღვრების დასაცავად წავა.

**„13 ქალი, მათ შორის მე, სამხედრო სწავლებებს ვიწყებთ. რამდენიმე დღეში კი ჩვენი საზღვრების დასაცავად წავალთ. ჩვენს სამშობლოს და ჩვენს ღირსებას მტერს ვერ დავუთმობთ",** — წერს ანა აკოფიანი ფეისბუქის პირად გვერდზე.

## გერმანია შეზღუდვებს ამკაცრებს

**ეპიდემიოლოგიური მდგომარეობის გაუარესების გამო, გერმანიაში 4 ნოემბრიდან ბარები, რესტორნები და სპორტული დარბაზები, შესაძლოა დაიხუროს.**

ახალი შეზღუდვების თანახმად, გერმანიის მოსახლეობას საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში მხოლოდ ოჯახის ერთ წევრთან ერთად გასვლის უფლება ექნება. სკოლები და სამედიცინო დაწესებულებები გააგრძელებენ ფუნქციონირებას. კანონის დარღვევის შემთხვევაში, მოქალაქეები დაჯარიმდებიან. იმ შემთხვევაში, თუ ჰიგიენის ნორმები იქნება დაცული, ღია იქნება მაღაზიებიც, თუმცა მომხმარებელთა რაოდენობა შეიზღუდება.

ახალი შეზღუდვების მიზანი მოქალაქეებს შორის კონტაქტის შემცირებაა. გერმანიაში მიმდინარე კვირის განმავლობაში კორონავირუსის შემთხვევების რაოდენობა მკვეთრად გაიზარდა.

## შემთხვევათა რეკორდული რაოდენობა

**ორგანიზაციის მონაცემებით, 19-25 ოქტომბერს მსოფლიოში 2 884 60 ახალი შემთხვევა დადასტურდა. გარდაიცვალა 39 712 პაციენტი. დადასტურებულ შემთხვევათა რიცხვი 16 პროცენტით გაიზარდა წინა კვირასთან შედარებით, ხოლო გარდაცვალების მაჩვენებელი — 8 პროცენტით.**

ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის თანახმად, კორონავირუსით ინფიცირების ზრდის მაღალი მაჩვენებელი ფიქსირდება ევროპასა (1 335 914 შემთხვევა) და ჩრდილოეთ და სამხრეთ ამერიკაში (884 318).



ნიჩბოსნობა



ნინო ლაცაბიძე, ალექსანდრე წივწივაძე, შალვა გოგოლაძე და ალექსანდრე დალაქიშვილი

# საზოგადოება „რუსთაველები“ – სპორტის სამსახურში

**გასული საუკუნის 50-იანი წლებიდან რუსთაველ ნიჩბოსნებს არაერთ საკავშირო თუ საერთაშორისო ტურნირებში უსახელებიათ თავი, იმის მიუხედავად, რომ ცენტრალურ პარკში სპორტის ამ სახეობის გასავითარებლად არახელსაყრელი პირობები იყო – პატარა წყალსაცავი მცირე არხით ივსებოდა. ნაპირზე იდგა სასეირნო ნავებისთვის განკუთვნილი ელინგი (პატარა ნაგებობა სასპორტო ნავების, ნიჩბებისა და სხვა ინვენტარის შესანახავად და შესაკეთებლად).**

რუსთავის ცენტრალური პარკის სანიჩბოსნო კლუბი დღეს საერთაშორისო მოთხოვნებს ვერ პასუხობს. არადა, სპორტის ამ სახეობაში ვარჯიშის მსურველთა რაოდენობა საგრძნობლად გაიზარდა. ბოლო ორი წელიწადია, აქაური ნიჩბოსნებიდან ახალგაზრდა სპორტსმენი ალექსანდრე წივწივაძე საერთაშორისო ტურნირებში დიდ წარმატებებს აღწევს. წლეულს სექტემბერში უნგრულ სეგედში მან ერთადგილიანი კანოეთი 1000 და 500 მეტრზე 17-წლამდელთა პაექრობები მოიგო

სპორტსმენთათვის ვარჯიშისა და აქტიური დასვენებისათვის სათანადო პირობების შესაქმნელად საზოგადოება „რუსთაველების“ ინიციატივითა და დაკვეთით გადაწყდა ქალაქის კეთილმოწყობილ ცენტრალურ პარკში მულტიფუნქციური სასპორტო კომპლექსის მშენებლობა. ორიოდე დღის წინ ახალგაზრდა ნიჩბოსანმა **ალექსანდრე წივწივაძემ,** „ქართული ოცნების“ რუსთავის მაჟორიტარობის კანდიდატმა **ნინო ლაცაბიძემ,** საზოგადოება „რუსთაველების“ დამფუძნებელმა, ასევე, „ქართული ოცნების“ დეპუტატობის კანდიდატმა **ალექსანდრე დალაქიშვილმა** და განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილემ **შალვა გოგოლაძემ** კომპლექსის საძირკველში სიმბოლური კაფსულა ჩააგდეს.

ნიჩბოსანთა სასპორტო კომპლექსის მშენებლობა რამდენიმე თვეში დასრულდება. მასში განთავსდება ელინგი, ადმინისტრაციული ოთახები, სალექციო აუდიტორია, ქალებისა და მამაკაცებისთვის გასახდელები, სველი წერტილები, სამედიცინო პერსონალის ოთახი და სასტუმროს 6 ნომერი, როგორც ადგილობრივი, ასევე უცხოეთიდან ჩამოსული სპორტსმენებისთვის.

**„მოხარული ვარ, რომ სულ მალე რუსთაველ ნიჩბოსნებს თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი ინფრასტრუქტურა ექნებათ. საგულისხმოა ისიც, რომ საზოგადოება „რუსთაველების“ ხელშეწყობით რუსთავის საკალათბურთო და კრივის სასპორტო დარბაზების სარეაბილიტაციო სამუშაოები მიმდინარეობს“,** – გვითხრა „რუსთაველების“ ერთ-ერთმა დამფუძნებელმა **ბადრი მაჭავარიანმა.**

**ლექსო ცინცაძე**

ესეც კრემლია?!

# ევროპაც გვერჩის!

**პაიჭაძე, ღოღობერიძე, მესხი, მეტრეველი, ხურცილავა, ყიფიანი, ჩივაძე...**

**ისინი საფეხბურთო სამყაროს ამშვენებდნენ, დღესაც ამშვენებენ და მომავალშიც დაამშვენებენ, მაგრამ...**

**ქართველებს არასოდეს დაგვავიწყდება ცენტრში მიღებული გადაწყვეტილებების შედეგად დაკარგული ქულები თუ, რაც კიდევ უფრო აღმაშფოთებელი იყო, უკვე მოპოვებული და მოგვიანებით ჩამორთმეული ტიტულები, რაც იმპერიული აზროვნებით ნასაზრდოები შოვინიზმის გამოძახილი გახლდათ, მაგრამ როცა თვით პროგრესული ევროპაც დაუმსახურებელი იგნორირებით ჩქმალავს მსოფლიო სპორტის საგანძურში ჩვენს თანამემამულეთა მიერ შეტანილ თვალსაჩინო წვლილს, ეს უკვე მეტისმეტია.**

კი მაგრამ, რაშია საქმე? – იკითხავს გულშემატკივარი.

ახლავე გიპასუხებთ.

კორონავირუსის პანდემიის გამო სანახევროდ ჩაშლილი სეზონის გათვალისწინებით, პოპულარულმა ფრანგულმა ჟურნალმა „ფრანს ფუტბოლმა“ წლეულს „ოქროს ბურთის“ დაჯილდოების ცერემონიალი არ ჩაატარა, თუმცა, ახალი მოიფიქრა და მალე ყველა დროის სიმბოლურ ნაკრებს წარმოგვიდგენს, სადაც ქართველებს, აბა, ვინ გაგვაჭაჭანებდა?




ოცნების გუნდი 3-4-3 ტაქტიკური სქემით იქნება შედგენილი, ხოლო ცალკეულ პოზიციებზე რჩეულებს თვით ის ჟიური გამოავლენს, რომელსაც ტრადიციული ინდივიდუალური ჯილდოს მფლობელი უნდა დაესახელებინა.

მაშ ასე, გაეცანით ნომინანტთა მართლაც შთამბეჭდავ, ოღონდ უქართველებო სიას, რომელიც, შევთანხმდეთ, რომ საკამათოა – გემოვნებაზე ხომ არ დავობენ.

**მეკარეები:** იაშინი, ბენქსი, ნკონო, ბუფონი, ძოფი, შმეიხელი, კასილიასი, ვან დერ სარი, მაიერი, ნოიერი;

**მარჯვენა მცველები:** ბერგომი, ჯენტილე, კალტცი, კაფუ, ფოგთსი, კარლოს ალბერტო, ჯალმა სანტოსი, სურბიერი, ტიურამი, ამორო;

**ცენტრალური მცველები:** ბარეზი, კანავარო, შირეა, ბეკენბაუერი, მური, ზამერი, პასარელა, დესაი, კუმანი, სერხიო რამოსი;

**მარცხენა მცველები:** ბრემე, კროლი, ბრაიტნერი, მალდინი, კაბრინი, ფაკეტი, მარსელო, ნილტონ სანტოსი, ჟუნიორი, რობერტო კარლოსი;

**დაცვითი სტილის ნახევარმცველები:** ბოჟიკი, გერსონი, დიდი, ფალკაო, ბუსკეტსი, გვარდიოლა, სუარესი, ხავი, ხაბი ალონსო, მასოპუსტი, მათეუსი, შუსტერი, ჯერარდი, ნეესკენსი, რაიკაარდი, ზეედორფი, პირლო, ტარდელი, რედონდო, ტიგანა;

**შემტევი ნახევარმცველები:** ბაჯო, მაცოლა, რივერა, ტოტი, ჰაჯი, ჩარლტონი, ინიესტა, დი სტეფანო, კოპა, პლატინი, ზიდანი, ფრანჩესკოლი, სკიაფინო, კუბალა, პუშკაში, გულიტი, მარადონა, პელე, სოკრატესი, ზიკო;

**მარჯვენა თავდამსხმელები**: ბექჰემი, კიგანი, მეტიუზი, ბესტი, ეტოო, ფიგუ, გარინჩა, ჟაირზინიო, მესი, რობენი;

**ცენტრალური თავდამსხმელები:** ბერგკამპი, ვან ბასტენი, კრუიფი, დალგლიში, ეუსებიო, კოჩიში, მიულერი, რომარიო, რონალდო, ვეა;

**მარცხენა თავდამსხმელები:** ბლოხინი, კრიშტიანუ რონალდუ, ჯაიჩი, გიგზი, ანრი, რივალდო, რიველინო, რონალდინიო, რუმენიგე, სტოიჩკოვი.

**გიორგი შოთაძე**

ბერმუხა

# ტკივილიც ბევრი გაიყოლა...

**ვამბობთ ქართულ კალათბურთის და ვგულისხმობთ მის ბერმუხას – ოთარ ქორქიას.**

დიახ, როცა გულშემატკივარი მოუთმენლად ელის კორონავირუსის პანდემიის გამო ერთი წლით გადადებული ევრობასკეტის მასპინძლობას, სწორედაც რომ უპრიანია იმ თბილისის „დინამოს“ ლეგენდარული თავკაცის გახსენება, რომელმაც სამამულო საკლუბო სპორტის დიდგორი მოიგო და სამშობლოში ჩემპიონთა თასით დაბრუნდა (1962 წლის 29 ივნისი).

მომავალმა თაობებმა უნდა იცოდნენ, რა განაცხადა ჟენევაში მადრიდის „რეალთან“ ფინალური შეხვედრის დამსწრე ჩვენმა თანამემამულე ემიგრანტმა მწერალმა გრიგოლ რობაქიძემ: **„გამარჯვების ნახევარი თითქმის გამარჯვებულთა ხელმძღვანელს უნდა ვაკუთვნოთ: ოთარ ქორქიას, ვთქვათ პირდაპირ, მათს სულისჩამდგმელს. დიდი ოსტატი ყოფილა, დიდი! მატჩის დროსაც ამა თუ იმ დარიგებას აძლევდა აღზრდილებს. აღსა:ნიშნავია ესეც: ყოველ მათგანს ექცეოდა როგორც ნამდვილი ძმა, უფროსი ძმა“.**

აღსანიშნავია, რომ 1951 წელს საფრანგეთში გამართულ კონტინენტის პირველობაზე „ოქროს“ ზედიზედ მეორედ მოხვეჭის შემდეგ ჟურნალისტებმა საბჭოელთა გუნდის ქართველ ლიდერს „ულვაშიანი ჯენტლმენი“ შეარქვეს, ხოლო გაივლის კიდევ ნახევარი საუკუნე და გაზეთი „სოვეტსკი სპორტი“ მას ქვეყნის ყველა დროის საუკეთესო კალათბურთელად აღიარებს!

ალბათ, ბევრისთვის უცნობი ფაქტია, რომ ქუთაისელი სკოლის მოსწავლე ოთარ ქორქია ორჯერ გახდა საბჭოთა კავშირის ჩემპიონი... ბადროს ტყორცნაში, თანაც 1939 წელს როსტოვში – საკავშირო რეკორდით (55 მეტრი).

მრავალშვილიანი ოჯახის წევრს (ექვსი დედმამიშვილი იყვნენ) ვეტერინარი მამა ჯერ დაუჭირეს, მოგვიანებით გადაუსახლეს და ჭაბუკმაც ქუჩას მიაშურა – **„არაფერს ვთაკილობდით“,** მისივე სიტყვებია. რაც შეეხება პირველ „სამუშაოს“, მეგობრებთან ერთად ებრაელ ვაჭრებს რიონის სადგურიდან მაღაზიების საწყობებში ტვირთის გადატანაში ეხმარებოდა. სხვათა შორის, მოძმე ერის წარმომადგენელს უკავშირდება ბატონი ოთარის პირველი სოლიდური „ჯილდოც“: ერთხელ რაიონში გადამხტარი ქალი გადაარჩინა, რომელიც თავს იკლავდა და ძლივს გამოიყვანა ნაპირზე. ბუნებრივია, ეს ამბავი მალევე გახმაურდა და, რადგან გადარჩენილი ებრაელი აღმოჩნდა, მათი თემის უფროსმა გადამრჩენელს ხუთი ოქროს მონეტა აჩუქა. დიასახლისმა დედამ სახლში სიხარულით მიფრენილ ვაჟს არ დაუჯერა, რომ ფული პატიოსნად იშოვა და დატუქსა კიდეც. საინტერესოა პირველი მეტსახელის შერქმევის ისტორიაც: რადგან სუსტი და მაღალი ყმაწვილი ხშირად ცივდებოდა, მეგობრებს იგი „გრიპუსად“ მოუნათლავთ.



საამაყო მამულიშვილი ყოველთვის უდიდესი მადლიერებით იხსენებდა ქალაქის საკალათბურთო ცხოვრების მესაძირკვლეს, სხვადასხვა სახეობებით გატაცებულ, სპორტზე უზომოდ შეყვარებულ ჩინებულ პიროვნებას **გივი კილაძეს,** სპორტსაზოგადოება „სპარტაკის“ თავმჯდომარეს **ანანო ხვინგიას,** რომელიც ხელმძღვანელობდა პრინციპით – მამის „დანაშაულის“ გამო შვილმა პასუხი არ უნდა აგოსო და ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის რექტორს **ლუკა ჭელიძეს,** რომელიც შეჯიბრებების წინ უფულო ბიჭებს საკუთარ ეზო-კარმიდამოს უთმობდა და საჭმლითაც ამარაგებდა. დაგვეთანხმებით, არანაკლებ საგულისხმოა ერთ-ერთ ინტერვიუში ტკბილი მოგონებების შესახებ დასმულ კითხვაზე ყველასთვის ძვირფასი თანამოსაუბრის მიერ გაცემული პასუხი: **„ასეთი ორია და, გაგიკვირდებათ, მაგრამ არცერთი არ უკავშირდება კალათბურთს. პირველი – როცა სიკვდილმისჯილი მამა ქუთაისელი კანონიერი ქურდის, მეტსახელად „ცხრაფეხას“ დახმარებით, გადასახლებიდან ცოცხალი დაგვიბრუნდა; და მეორე – სოხუმში მამისეული სახლი რომ დავიბრუნე. დიახ, მამაჩემი სოხუმელი იყო, იქ დაბადებულ-გაზრდილი. სამართალი ერთმა კარგმა ზღვისპირელმა კაცმა, გვარად მიჩურინმა მაპოვნინა – სამწუხაროდ, სახელი აღარ მახსოვს. ის მაღალი ჩინის სამხედრო გახლდათ, აფხაზეთში საკუთარი მეურნეობები ჰქონდა და პირადად ამარაგებდა პროდუქტებით სტალინს“.**

ხელისგულზე სატარებელი პრინციპული კაცი მაშინდელ დოგმა – ჩარჩოებში ვერ ეტეოდა და ასეთი ფაქტიც გადახდა თავს: „ნორჩ დინამოელში“ ბავშვთა ორ ჯგუფს ავარჯიშებდა – ერთს ჩვეულებრივი, ტრადიციული წესების დაცვით და მეორეს – ექსპერიმენტის სახით, უცხოური მუსიკის ფონზე. მართალია, სიახლემ გაამართლა, უაზრო ოფლისღვრისგან განტვირთული, შედარებით მეტი დოზით თავისუფლებამინიჭებული შეგირდები თანატოლებზე ორჯერ მეტხანს, თითქმის ოთხი საათის განმავლობაში ვარჯიშობდნენ და დაღლა მაინც არ ეტყობოდათ, მაგრამ საზღვარგარეთული მუსიკის სიყვარული მწვრთნელს კაპიტალიზმის პროპაგანდად ჩაუთვალეს და სამსახური დაატოვებინეს. გულისტკენა სხვაც ბევრი გაიყოლა, მაგრამ განსაკუთრებით ვერ ეგუებოდა უმნიშვნელოვანესი საკალათბურთო მიღწევის – ჩემპიონთა თასის მოპოვების გერის როლში დამკვიდრებას. იგი ალალად შეჰხაროდა თანაკლუბელ ფეხბურთელთა ტიტულს – თასების მფლობელთა თასის დაუფლებას, მაგრამ იქვე საფუძვლიანად წუხდა: **„რატომ მხოლოდ საფეხბურთო „დინამო“ და არა საკალათბურთო? განა ერთი მეორეს ხელს შეუშლის და დაჩრდილავს? პირიქით! როცა ორი დიდი წარმატება შეგიძლია გაიხსენო და დააფასო, მხოლოდ ერთს რატომ აღნიშნავ? ამაზე მწყდება გული“.**

**ვიტალი ჯაფარიძე**

# ახალი ტექნოპარკი ბათუმში

**ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა ნათია თურნავამ, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიჟვაძესთან ერთად, ბათუმში, ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს ახალი ტექნოპარკი გახსნა.**

პროექტი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობისა და მსოფლიო ბანკის ფინანსური მხარდაჭერით განხორციელდა.

როგორც ტექნოპარკის გახსნაზე ნათია თურნავამ აღნიშნა, ბათუმის ტექნოპარკი არა მხოლოდ ადგილობრივ, არამედ რეგიონიდან ჩამოსულ ახალგაზრდებსაც მოემსახურება, ვისაც ინოვაციებისა და ტექნოლოგიების განხრით ახალი ცოდნის შეძენა სურს და უნდა, რომ ამ მიმართულებით უფრო კონკურენტუნარიანი გახდეს.

ბათუმის ტექნოპარკში წარმოდგენილია სამრეწველო ინოვაციების უნივერსალური, უახლესი დანადგარებით აღჭურვილი ლაბორატორია (ფაბლაბი). უმაღლესი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტებით დაკომპლექტებული ლაბორატორიული სივრცე დაინტერესებულ პირებს მოდელირებასა და პროტოტიპირებაში დაეხმარება.



# ბუნებრივი აირი ხულოში

**აჭარის ყველაზე მაღალმთიან მუნიციპალიტეტში ბუნებრივი აირი შევიდა. დაბა ხულოში პირველი ჩირაღდანი აჭარის მთავრობის თავმჯდომარემ თორნიკე რიჟვაძემ კომპანია „სოკარის“ წარმომადგენლებთან ერთად აანთო.**

ბუნებრივ აირს ეტაპობრივად ხულოს სოფლებშიც მიიღებენ.

სალიბაურიდან გოდერძის უღელტეხილამდე მონაკვეთზე აჭარის გაზიფიცირების მასშტაბური პროექტის ფარგლებში, თანამედროვე სტანდარტების, 121 კმ. სიგრძის გაზსადენის მშენებლობის ძირითადი ნაწილი უკვე დასრულებულია.

გაზიფიცირების პროექტის სამუშაო პროცესში 300 ადამიანი დასაქმდა. დასკვნითი ეტაპის სამუშაოებზე დამატებით 300 ადამიანი დასაქმდება.



# საპიკნიკე ზონები მთიან აჭარაში

**აჭარის ტურიზმის დეპარტამენტის ტურისტული პროდუქტების განვითარების სააგენტომ მთიანაჭარაში, ტურისტულ მარშრუტებზე საპიკნიკე ინფრასტრუქტურა მოაწყო. ავთენტური და ეკოლოგიური მასალებით დამზადებული ერთ-ერთი საპიკნიკე ჩირუხის ალპურ ტურისტულ მარშრუტზეა განთავსებული, რომელიც საშუალებას აძლევს მოგზაურებს ღია სივრცეში, ავთენტურ გარემოში განიტვირთონ, დაისვენონ და ულამაზესი პანორამული ხედებით დატკბენ. ზღვის დონიდან 2,148 მ სიმაღლეზე განთავსებული საპიკნიკე ინფრასტრუქტურა თავისი ჰამაკებით, საქანელებითა და ფანჩატურით საზაფხულო იაილებზე ტურისტებისთვის რეკრეაციული გარემოს შექმნას შეუწყობს ხელს.**

ჟინვალის ჩანჩქერი, შრატიანის ტბა, სარიჩაირის იაილები, ყარაგოლის ტბა, თეთრობის იაილები, ხიხანის ციხე, ალპური ბოტანიკური ბაღი — მცირე ჩამონათვალია იმ ტურისტული ადგილებისა, რომელთა ნახვაც ტურისტებს ჩირუხი-ხიხანი-გოდერძის სათავაგადასავლო ტურისტულ მარშრუტზე შეუძლიათ. გარდა ჩირუხისა, მცირე მოსასვენებელი ზონები მოეწყო სოფელ შუამთასა და კაპნისთავშიც.





# განახლდა სულხან-საბას სკვერი

**მთაწმინდის ქ. №4-ში სულხან-საბას სახელობის სკვერის სრული რეაბილიტაცია დასრულდა. სულხან-საბას სახელობის სკვერი ისტორიული ადგილმდებარეობისაა და 1 800 კვ.მ ფართობს მოიცავს. სკვერი რეკრეაციული სივრცეების განვითარების კუთხით მნიშვნელოვან პროექტს წარმოადგენს. იგი ევროპული სტანდარტების შესაბამისად განახლდა.**

ტერიტორიაზე შენარჩუნდა მწვანე საფარი და ახალი ნარგავებითაც გაშენდა; მოეწყო დეკორატიული შადრევანი. ასევე, განთავსდა საბავშვო ზონები, დამონტაჟდა თანამედროვე ტიპის ატრაქციონები; სრულიად შეიცვალა და მხატვრული ეფექტით განახლდა განათების სისტემა; ტერიტორიაზე საპარკე სკამები და ურნები დამონტაჟდა.

# ახალი ავტობუსები თელავში

**მუნიციპალური ტრანსპორტის განვითარების პროგრამის ფარგლებში, ინფრასტრუქტურის სამინისტროს მუნიციპალური განვითარების ფონდმა, 6 ქალაქისთვის განკუთვნილი 175 ავტობუსიდან პირველი 5 ერთეული 8.5-მეტრიანი, EURO 5-ის სტანდარტის ავტობუსი თელავს გუშინ ოფიციალურად გადასცა.**



პროგრამა ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) ფინანსური მხარდაჭერით ხორციელდება და მოიცავს სხვადასხვა მუნიციპალიტეტისთვის 175 ერთეული, საერთო ჯამში 18.7 მილიონი ევროს ღირებულების, თანამედროვე სტანდარტების ავტობუსის შეძენას. მუნიციპალური ტრანსპორტის განვითარებისათვის შერჩეულია საქართველოს 6 ქალაქი. 175 ერთეული ავტობუსიდან თელავსა და ფოთს 10-10 ავტობუსი გადაეცემა, გორს — 30, ზუგდიდს — 25, რუსთავს — 40, ხოლო ქუთაისს — 60 ერთეული ავტობუსი.

175 ავტობუსი სხვადასხვა მუნიციპალიტეტს მომდევნო წლის გაზაფხულამდე ეტაპობრივად გადაეცემა.

# ბულაჩაურში აშენდება წყალმომარაგების სისტემა

**წყალმომარაგების კომპანიამ დუშეთის მუნიციპალიტეტის, სოფელ ბულაჩაურის წყლის სისტემის რეაბილიტაციის პროექტირება-მშენებლობაზე ტენდერი გამოაცხადა.**



პროექტის ღირებულება 7 მლნ ლარზე მეტს შეადგენს.

სოფელ ბულაჩაურში, მოძველებული და ამორტიზებული სისტემის გამო, არსებული წყლის დებიტი ვერ უზრუნველყოფს მოსახლეობის სტაბილურ წყალმომარაგებას. **„პროექტი ითვალისწინებს სატუმბო სადგურის, რეზერვუარებისა და წყალმომარაგების სრულიად ახალი სისტემის მოწყობას. გარდა ამისა, მოხდება მოსახლეობის ინდივიდუალური გამრიცხველიანება.**

**გამარჯვებულმა კონტრაქტორმა კომპანიამ სამუშაოები 18 თვეში უნდა დაასრულოს, რის შემდეგაც სოფელ ბულაჩაურის მოსახლეობა, დაახლოებით 3000 - მდე ადამიანი, 24-საათიანი წყალმომარაგებით ისარგებლებს“,** - ნათქვამია განცხადებაში.

# ბადრი ესებუა არ არის მოქმედი სამხედრო მოსამსახურე!

**„ვავრცელებთ ოფიციალურ დოკუმენტს, რომლითაც მტკიცდება, რომ თავდასხმაში ბრალდებული პირი ბადრი ესებუა არ არის მოქმედი სამხედრო მოსამსახურე“,** — აცხადებს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სტრატეგიული კომუნიკაციებისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსი ნიკოლოზ მოლოდინაშვილი.



**„ნაციონალური მოძრაობის პარტიული ტელევიზიის „მთავარი არხის“ მიერ გრძელდება დეზინფორმაციული კამპანია თავდაცვის ძალების წინააღმდეგ, თითქოს ზუგდიდში ერთ-ერთი ბანკის ფილიალზე თავდამსხმელი მოქმედი სამხედრო მოსამსახურეა.**

**მიუხედავად იმისა, რომ საჯარო განმარტება გავაკეთეთ, რომ აღნიშნული პირი არ არის მოქმედი სამხედრო მოსამსახურე, აღნიშნული ტელევიზია და ზოგიერთი ანგაჟირებული პოლიტიკოსი უგულებელყოფს ამ ფაქტს და შეგნებულად ავრცელებს სრულად საპირისპირო ინფორმაციას.**

**საზოგადოებისა და თავდაცვის ძალების საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე, ვავრცელებთ ოფიციალურ დოკუმენტს, რომლითაც მტკიცდება, რომ თავდასხმაში ბრალდებული პირი ბადრი ესებუა არ არის მოქმედი სამხედრო მოსამსახურე“...**

# „თქვენ არ გაბარებთ აჩოტებს“

შინაგან საქმეთა მინისტრი ბათუმშია, თუმცა უცნობია მისი აჭარაში ვიზიტის მიზეზი. მთავარი არხის ჟურნალისტის კითხვაზე, თუ რას უკავშირდება მისი იქ ჩასვლა, ვახტანგ გომელაური პასუხობს, რომ მას „აჩოტებს“ არ ჩააბარებს.

**„მინდა, ბათუმში წავალ, მინდა, სამცხეში, მინდა, კახეთში, შინაგან საქმეთა მინისტრი ვარ. თქვენ არ გაბარებთ „აჩოტებს“ მე სად ვივლი, უკაცრავად“,** — უთხრა მინისტრმა ჟურნალისტს.

# საპროტესტო აქცია მესტიაში

**მესტიაში გუშინ საპროტესტო აქცია მიმდინარეობდა. აქციის მონაწილეებს მესტიის შესასვლელში ცენტრალური გზა ჰქონდათ გადაკეტილი.**



ისინი „ქართული ოცნების“ წევრის, თემურ შუბითიძის ცემაში ბრალდებული ოთხი პირის გათავისუფლებას ითხოვენ, წინააღმდეგ შემთხვევაში, გზის გახსნას არ აპირებენ.

აქციის მონაწილეების თქმით, ოთხივე დაკავებული სამოქალაქო აქტივისტია და ისინი ჰესების მშენებლობის წინააღმდეგ იბრძვიან.

მათივე განმარტებით, ერთ-ერთ დაკავებულს ლაშა გურგულიანს მომჩივანიც კი არ ჰყავს და ისინი შერჩევითი სამართლის მსხვერპლი არიან.

# ტრაგედია ნოჯიხევში

**ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ ნოჯიხევში მატარებელი შუახნის ქალს დაეჯახა, რის შედეგადაც ის ადგილზე გარდაიცვალა.**

შემთხვევა გუშინ მოხდა. არსებული ინფორმაციით, ქალი ლიანდაგზე გადადიოდა, რა დროსაც მატარებლის ხმოვანი სიგნალი ვერ გაიგო.

# ბათუმში საზეიმოდ, ოღონდ მოკრძალებულად გაიხსნა ახალი, კავკასიაში საუკეთესო სტადიონი




**2020 წლის 27 ოქტომბერი ოქროს ასოებით ჩაიწერა ქართული სპორტის მატიანეში, რადგან შემოდგომის იმ თბილ საღამოს ბათუმში, 14-წლიანი ლოდინის შემდეგ, ასრულდა აჭარისა და სრულიად საქართველოს საზოგადოებრიობის ოცნება — ზღვისპირა ბულვარის მიმდებარე ტერიტორია ულტრათანამედროვე, ფიფა-უეფას სტანდარტების შესაბამისმა 20-ათასიანმა კოპწია სტადიონმა დაამშვენა, რომლის მშენებლობაც 2018 წლის იანვარში დაიწყო და სახელმწიფო ბიუჯეტს 150 მილიონი ლარი დაუჯდა.**

მოგეხსენებათ, მისი გახსნა დაახლოებით ორი თვის წინათ იგეგმებოდა, მაგრამ კორონავირუსის პანდემიამ განზრახვის ხორცშესხმა რამდენჯერმე გადაავადა.

— ეს, ასე ვთქვათ, მოთელვაა, მასშტაბური ცერემონიალი კი კოვიდვითარების დარეგულირებისთანავე გაიმართებაო — დაპირდა შეკრებილთ პრემიერ-მინისტრი **გიორგი გახარია**.

— სიტყვას გაძლევთ, რომ მომავალ ზეიმზე მსოფლიო ფეხბურთის ვარსკვლავებს ჩამოგიყვანთ — ეს უკვე თბილისის მერის, დამოუკიდებელი ქართული ფეხბურთის ყველაზე ტიტულოვანი მოთამაშის, ეროვნული ნაკრების ყოფილი კაპიტნის **კახი კალაძის** სიტყვებია.

— ხანგრძლივი კარიერის განმავლობაში რომელ ცნობილ უცხოურ სარბიელზე არ მითამაშია, მაგრამ სიამაყით გამოგიტყდებით, რომ ბათუმის სტადიონი რეგიონში საუკეთესოა — აღტაცებას ვერ მალავდა ქართული ფეხბურთის ცოცხალი ლეგენდა **ალექსანდრე ჩივაძე**.

**თორნიკე რიჟვაძე, ლევან კობიაშვილი, რევაზ ჩელებაძე,** ბათუმის „დინამოს“ ნორჩი ფეხბურთელები — ყველანი იმ ზეიმის მონაწილეებად მოგვევლინნენ, ასერიგად რომ უხდება დედასამშობლოს, სპორტულ სამყაროსა და, კონკრეტულად, ავტონომიურ რესპუბლიკას, სადაც მალე სხვადასხვა ჟანრის უმნიშვნელოვანეს ღონისძიებებს ულამაზეს არენაზე უმასპინძლებენ.

**კობა კობახიძე**

# გიორგი გაგნიძე - 25 წელი მსოფლიო საოპერო სცენაზე




**თბილისის კონსერვატორიის დიდ დარბაზში გაიმართა მსოფლიო დონის კაშკაშა ვარსკვლავის გიორგი გაგნიძის საიუბილეო კონცერტი — 25 წელი მსოფლიო საოპერო სცენაზე (კონცერტის წამყვანი ნიკა წულუკიძე, კონცერტმეისტერი ვიქტორია ჩაპლინსკაია).**

გასახარია, რომ ეს ღირსშესანიშნავი მოვლენა მან სწორედ თბილისში და მის მშობლიურ კონსერვატორიაში აღნიშნა.

მართალია, ეს ღონისძიება ბევრად დიდი მასშტაბით და საზეიმო განწყობით უნდა გამართულიყო, მაგრამ მსოფლიო პანდემიის გამო ფორმატი შეიცვალა. ამჯერად საკონცერტო შესრულება მსმენელმა ინტერნეტტრანსლაციით შეძლო.

კონცერტზე შესრულდა ცნობილი და მელომანებისთვის საყვარელი ნეაპოლიტანური სიმღერები.

კონცერტის შემდეგ თეატრალური საზოგადოების გადაწყვეტილებით (თავმჯდომარე გიორგი გეგეჭკორი) მას მიენიჭა ქართული სცენის დესპანის წოდება და გადაეცა მედალი, ასევე, გიგა ლორთქიფანიძის სახელობის აკადემიის პრეზიდენტმა ლარისა ხაჭაპურიძემ აცნობა, რომ არჩეულია გიგა ლორთქიფანიძის სახელობის აკადემიის აკადემიკოსად და გადაეცა სათანადო მოწმობა.

**რევაზ თოფურია**

# ქართული მოკლემეტრაჟიანი ფილმი - ევროპულ კინოდაჯილდოებაზე

**ირინე ჟორდანიას მოკლემეტრაჟიანი ფილმი „მარქსის ქუჩა №12“ ევროპული კინოდაჯილდოების 2020 წლის გამოშვების კანდიდატია მოკლემეტრაჟიანი ფილმების კატეგორიისთვის. კანდიდატების სია ევროპულმა კინოაკადემიამ გამოაქვეყნა, სადაც სულ 24 ფილმი შეირჩა.**

ეროვნული კინოცენტრის ინფორმაციით, თითოეული ფილმი კანდიდატად ევროპის სხვადასხვა კინოფესტივალმა წარადგინა, როგორებიც არის ბერლინის, ვენეციის, ლოკარნოს, სარაევოს, კლერმონ ფერანისა და როტერდამის კინოფესტივალები. ირინე ჟორდანიას ფილმზე არჩევანი შეაჩერა ტალინის მოკლემეტრაჟიანი და ანიმაციური ფილმების საერთაშორისო ფესტივალმა PeFF Shorts.

წარმოდგენილი 24 კანდიდატიდან, ევროპული კინოდაჯილდოების მოკლემეტრაჟიანი ფილმების კატეგორიის ნომინანტი მხოლოდ 5 ფილმი გახდება. როდესაც გასაჯაროვდება ნომინანტების სრული სია, ევროპული კინოაკადემიის 3800 წევრი ხმის მიცემას დაიწყებს. გამარჯვებულები ევროპული კინოს დაჯილდოების ცერემონიალზე რეიკიავიკში, 12 დეკემბერს გამოვლინდებიან.



ევროპული კინოდაჯილდოების ცერემონია ერთ-ერთი უდიდესი კინომოვლენაა, რომელსაც ევროპაში წლიდან წლამდე დიდი ინტერესით ელიან. წითელ ხალიჩაზე თავს იყრიან მსოფლიო კინოს ვარსკვლავები და ცერემონია გადაიცემა არაერთი ევროპული წამყვანი ტელეარხის პირდაპირ ეთერში, რადგან იგი ევროპული კინოს ყველაზე მნიშვნელოვან ნამუშევრებს აფასებს.

# ოპერატორებისა და კინოგამნათებლების კონკურსში გამარჯვებულები

**გიორგი ვარსიმაშვილისა და გიორგი შანიძის ერთობლივმა ნამუშევარმა, კინოგანათების კომპანია Dedolight-ის მიერ, ოპერატორებისთვისა და კინოგამნათებლებისთვის ჩატარებულ კონკურსში 30 გამარჯვებულს შორის მე-14 პოზიცია დაიკავა, — ინფორმაციას ეროვნული კინოცენტრი ავრცელებს.**



კონკურსის გამარჯვებულები კომპანიამ განათების ტექნიკით დააჯილდოვა. გიორგი ვარსიმაშვილისა და გიორგი შანიძის ვიდეო, მცირე რაოდენობის ტექნიკის პირობებში, ინტიმური გარემოს შექმნის ორიგინალურ კონცეფციას გვიჩვენებს.

კინოგანათების კომპანია Dedolight-ი ხუთ წელიწადში ერთხელ ატარებს კონკურსს ოპერატორებისთვისა და კინოგამნათებლებისთვის.

## ყოველგვარი რეკლამა გაზეთს ჰაერივით სჭირდება!

განათავსეთ რეკლამა ყველაზე საჭირო და სანდო გაზეთში და ამით ხელი შეუწყვეთ 102 წლის ყოველდღიური გამოცემის აღორძინებას.

ჩვენი ანგარიშია: №GE19TB7601536020100009.

(შპს „ახალი საუკუნე“ — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი).

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ვაჟა ფშაველას №48
ტელ: 239-03-43

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე —
გაზეთ „საქართველოს
რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ
„საქართველოს რესპუბლიკის“
გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
იბეჭდება სტამბა
„კოლორში“
ე. ბაღდავაძის №3
კოლორ ჯგუფი

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
2 009882 616932

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

**გაზეთის მორიგი ნომერი გამოვა შაბათს, 31 ოქტომბერს**

სრ

**უცხოური ვალუტის კურსი:**
აშშ დოლარი - 3.2242; ევრო - 3.8094;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 4.1992;
100 რუბლი - 4.2136; თურქული ლირა - 0.3960;
აზერბაიჯანული მანათი - 1.8966;
1000 სომხური დრამი - 6.5458.

**ამინდი 29 ოქტომბრისთვის**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| **აღმოსავლეთი საქართველო:** | | | | |
| ბარი - | ღამე | +7, | დღე | +25 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | +1, | დღე | +24 |
| **დასავლეთი საქართველო:** | | | | |
| ბარი - | ღამე | +14, | დღე | +32 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | +5, | დღე | +29 |
| თბილისი: | ღამე | +11, | დღე | +24 |

**დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:**
ტელ: 296-72-86, 599-79-76-79, 568-82-09-84
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge